ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

სამაგისტრო პროგრამა-ლიტერატურათმცოდნეობა, ტექსტოლოგია, სარედაქციო-საგამომცემლო საქმე

ნინო გილიგაშვილი

ქალის თავგადასავალი შუა საუკუნეებიდან დღემდე (გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“; „ტრფობა წამებული“; „ტრფობა წამებულთა“)

ნაშრომი შესრულებულია ფილოლოგიის მაგისტრის ხარისხის მოსაპოვებლად

ნაშრომის ხელმძღვანელი: გაგა ლომიძე

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი; თსუ ასოცირებული პროფესორი;

თბილისი

2019

ანოტაცია

სამაგისტრო ნაშრომის მიზანია წარმოაჩინოს ქალი პერსონაჟის განვითარების საფეხურები და ასახოს ქალის როლი და მნიშვნელობა სხვადასხვა ეპოქაში. ნაშრომში განვიხილავთ სამ ნაწარმოებს: „გროგოლ ხანძთელის ცხოვრება“(Xსაუკუნე), „ტრფობა წამებული“(XXსაუკუნის დასაწყისი, „ტრფობა წამებულთა“(XXსაუკუნის ბოლო). აღნიშნული ნაწარმოებები შევარჩიეთ მსგავსი სიუჟეტური ხაზის გამო, სადაც ჩვენ მიერ განხილული პერსონაჟი ისტორიულად ერთი და იგივე პიროვნებაა („სიძვის დიაცი“ და შუქია), ეს საშუალებას გვაძლევს უკეთ გამოვკვეთოთ, თუ როგორ ვითარდება ქალი პერსონაჟის სახე შუა საუკუნეების ეპოქიდან მოყოლებული. (ცხადია, ნაშრომი არ მოიცავს სრულ სურათს ეპოქალური თვალსაზრისით).

ნაშრომში მოხმობილია ადრეული შუა საუკუნეებისა და მეოცე საუკუნის რელიგიურ-ფილოსოფიური ნააზრევი, რაც ამ ეპოქების მსოფლმხედველობითი სისტემის გააზრებაში დაგვეხმარა. ნაწარმოებების ანალიზისას ვითვალისწინებთ ეპოქების გავლენას ქალის მიმართ შეხედულებებისა და დამოკიდებულების ჩამოყალიბებაზე.

ქალის როლისა და მნიშვნელობის გააზრების კვალდაკვალ წარმოვაჩენთ ქალი პერსონაჟს ხასიათის განვითარების ეტაპებს. როგორ რეალიზდება ის „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“, „ტრფობა წამებულში“ და რა სახე აქვს ქალ პერსონაჟს პოსტმოდერნულ ტექსტში „ტრფობა წამებულთა.“ ამ შემთხვევაში ვიყენებთ დეკონსტრუქციის მეთოდს.

ნაშრომი შედგება ხუთი თავისგან: 1.შუა საუკუნეების ეპოქის რელიგიურ-ფილოსოფიური ნააზრევის მიმოხილვა (ადრეული შუა საუკუნეები), 2.მეოცე საუკუნის ფილოსოფიური ნააზრევის მიმოხილვა, 3.„სიძვის დიაცის“ სახე „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ მიხედვით, . 4.„სიძვის დიაცის“ ტრანსფორმირებული სახე ვასილ ბარნოვის

„ტრფობა წამებულში“, 4.ღირებულებათა სისტემის მსხვრევა „ტრფობა წამებულთას“ მიხედვით.

Annotation

The purpose of the work is to present the advancement of woman's character and describe woman's role and meaning in different epochs. Three narratives are analyzed in the work: "Life of Grigol Khandzteli" (10th Century), "Tortured Passion" (Beginning of 20th Century), "Torture of the Passioned" (end of 20th Century). The narratives were chosen due to similar storyline, where the character analyzed is the same person ("a women of ease virtue" and Shuqia). This gives us the opportunity to highlight the development of woman's character throughout the middle ages up until today. (Obviously the work does not contain the full picture in between the epochs)

The work is adverted by religious and philosophical thoughts from early middle ages and 20th century, which helped us analyze the social mindset of these epochs. While analyzing the narratives we take into consideration the influence of epochs on social opinions towards women.

As we analyze the role of woman, we also look at the development steps of woman's character. Described are the way woman's role is realized in "The life of Grigol Khandzteli", "Tortured Passion" and what are the different roles of women in postmodern narratives such as "Torture of the passioned". In this example we use the deconstruction method.

The work contains five chapters. 1. Review of religious and philosophical opinions in middle ages (early middle ages). 2. Review of philosophical opinions in 20th century. 3. "the prostitute's" face in "The Life of Grigol Khandzteli" 4. The transformation of "a women of easy virtue" in Vasil Barnov's "Tortured Passion". 5. The collapse of the values in "The Torture of the Passioned

სარჩევი

ანოტაცია.....3

შესავალი.....6

1.შუა საუკუნეების ეპოქის რელიგიურ-ფილოსოფიური ნააზრევის მიმოხილვა (ადრეული შუა საუკუნეები).....8

1.1ანტიკური ფილოსოფიისა და ქრისტიანული რელიგიის როლი ქალის მიმართ შეხედულების ჩამოყალიბებაში.....8

1.2პიროვნული არსის აღქმა ადრეულ შუა საუკუნეებში.....11

1.3ღირებულებათა სისტემა ადრეულ შუა საუკუნეებში.....15

2.მეოცე საუკუნის ფილოსოფიური ნააზრევის მიმოხილვა.....17

2.1ადამიანის ღმერთთან დაპირისპირება; ნიცშეს „ღმერთის სიკვდილი“-მიზეზები და შედეგები.....17

2.2. თავისუფლებისა და ქრისტიანობის ურთიერთმიმართება, ნიცშესა და კანტის შეხედულებები.....19

3. „სიძვის დიაცის“ სახე „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ მიხედვით.....23

3.1. ნაწარმოების ზოგადი მიმოხილვა.....23

3.2. „სიძვის დიაცისა“ და აშოტის სიყვარულის ამბის ჰაგიოგრაფიულ ნაწარმოებში ჩართვის მოტივები.....25

3.3. წმინდა მამათა შეხედულებები მრუშობისა და სიძვის ცოდვის შესახებ.....27

3.4. ქალის როლისა და მნიშვნელობის განმსაზღვრა „სიძვის დიაცის“ მაგალითზე.....29

4. „სიძვის დიაცის“ ტრანსფორმირებული სახე ვასილ ბარნოვის „ტრფობა წამებულში“.....46

4.1. ვასილ ბარნოვის მსოფლმხედველობსა და შეხედულებების ზოგადი მიმოხილვა.....46

4.2. ქალის როლის გააქტიურება ვასილ ბარნოვის შემოქმედებაში.....48

4.4. ქალი პერსონაჟის ხასიათის სახის გამოკვეთა.....51

5.ღირებულებათა სისტემის მსხვრევა „ტრფობა წამებულთას“ მიხედვით.....57

5.1. პოსტმოდერნისტული ტენდენციები.....57

5.2. პიროვნების სულიერი კრიზისის პოსტმოდერნული გამოხატულება.....59

5.3. „ტრფობა წამებულთას“ მიმართება „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებასა“ და „ტრფობა წამებულთან“-ქალი პერსონაჟის დეკონსტრუქცია.....61

დასკვნა.....63

გამოყენებული ლიტერატურა.....66

შესავალი

კაცობრიობა, განვითარების ყველაზე პრიმიტიულ საფეხურზეც, კი მუდამ ინტერესდებოდა იმით, თუ რატომ გაჩნდა ადამიანი და რა არის მისი დანიშნულება. იმის გააზრებაში, რისთვის ვცხოვრობთ, გვეხმარება ღირებულებები და ფასეულობები, რომლებსაც ვუსაბამებთ ჩვენს მორალურ-ეთიკურ ნორმებს. კაცობრიობის არსებობის ისტორია საკმაოდ მრავალფეროვანია, ბევრ ეპოქას მოიცავს. ცივილიზაციის განვითარების შესაბამისად იცვლებოდა ადამიანის აზროვნება და ცხადია, იცვლებოდა მისი ცხოვრების წარმმართველი კომპონენტებიც-ღირებულებები და ფასეულობები. ნაშრომში ვიმსჯელებთ იმაზე, თუ როგორ იცვალა სახე, ამა თუ იმ საკითხის მიმართ, ეპოქის ცვლილების შესაბამისად, საზოგადოებრივმა აღქმამ, როგორ განსხვავდებოდა შეხედულებები შუა საუკუნეების, მეოცე საუკუნისა და თანამედროვე ეპოქის მაგალითზე და რა განაპირობებდა ამ ცვლილებებს. ეს არის ის მსხვილი საკითხები, რომლებსაც ავსახავთ ერთი საერთი სათაურის ქვეშ-„ქალის თავგადასავალი შუა საუკუნეებიდან დღემდე.“

ადამიანის არსის განხილვას ვაკონკრეტებთ და წარმოვადგენთ ქალის, როგორც საზოგადოების სრულფასოვანი წევრის მაგალითზე. ვისაუბრებთ იმაზე, თუ როგორია ქალის სახე ქრისტიანულ საზოგადოებაში, როგორ იცვლება და ვითარდება ქალი პერსონაჟი აღნიშნულ ეპოქებში, რა უფლებებით სარგებლობს ის, სად გადის ზღვარი მრუშობასა და კურთხეულ სიყვარულს შორის და კნინდება თუ არა დოგმატური სტერეოტიპებით ქალის, როგორც საზოგადოების სრულფასოვანი წევრის ფუნქცია? ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად განვიხილავთ სამ ნაწარმოებს: გიორგი მერჩულეს

„გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება," ვასილ ბარნოვის „ტრფობა წამებული" და დათო ბარბაქაძის „ტრფობა წამებულთა."

ნაწარმოებების შედარებითი ანალიზის საშუალებით, ხაზს ვუსვამთ იმ ეპოქალურ განსხვავებას, რაც აისახება ქალი პერსონაჟის გამოსახვის თავისებურებებზე. „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების" ჩვენ მიერ განხილულ პასაჟში ზუსტად იგივე პერსონაჟები გვხვდება, რაც ბარნოვის „ტრფობა წამებულში", ისტორია იგივეა, მაგრამ დამოკიდებულებები სხვადასხვა. ყოველივე ეს ძალიან კარგ საშუალებას გვაძლევს რომ ფეხდაფეხ მივყვეთ ქალი პერსონაჟის ისტორიას საქართველოში, შუა საუკუნეებიდან მოყოლებული დღემდე. ნაშრომის მიზანია, იმ მსგავსებისა და განსხვავებების წარმოჩენა, რაც იცვლებოდა ქალის ცხოვრებაში და რისი გამოვლაც მოუწია მას წინააღმდეგობების სახით. თემაში ხაზგასმული იქნება, რა შეიცვალა და რამ განაპირობა ეს ცვლილებები, როგორც პერსონაჟის ასახვის, ასევე ქალის საზოგადოებრივი როლისა და მნიშვნელობის კუთხით. საბოლოოდ კი, „ტრფობა წამებულთას" ანალიზზე დაყრდნობით ავსახავთ მანამდე არსებული ღირებულებების გადაფასების სურათს, რომელსაც წარმოვადგენთ დეკონსტრუქტივიზმის მეთოდის საშუალებით.

1.შუა საუკუნეების ეპოქის რელიგიურ-ფილოსოფიური ნააზრევის მიმოხილვა (ადრეული შუა საუკუნეები)

1.1ანტიკური ფილოსოფიისა და ქრისტიანული რელიგიის როლი ქალის მიმართ შეხედულების ჩამოყალიბებაში

განხილვას ვიწყებთ ქრონოლოგიურად, პირველ რიგში, საჭიროდ მიგვაჩნია, გავეცნოთ შუა საუკუნეების რელიგიურ და ფილოსოფიურ შეხედულებებს, რათა გავიაზროთ არსებული სიტუაციის მიზეზები. აუცილებელია აღვნიშნოთ, რომ შუა საუკუნეები სამ ეტაპად იყოფა, ჩვენი მსჯელობა მიემართება ადრეულ შუა საუკუნეებს(V-IXს). ცხადია, დათარიღება პირობითია და ძნელია ზუსტი მიჯნის დადგენა, იმის განსაზღვრა, თუ სად იწყება საზოგადოებრივი აზრის ცვლილება, თუმცა ტენდენციები, რომლებზეც ყურადღებას ვამახვილებთ, ცალსახად შუა საუკუნეების ადრეულ პერიოდს ეკუთვნის. გამოვყავით ორი მიმართულება-რელიგიური და ფილოსოფიური, რადგან სწორედ ეს ორი უდებს საფუძველს ამ პერიოდის ეპოქალურ ნიშნულებს.

ჩვენი თემიდან გამომდინარე, პირველ რიგში, უნდა გამოვკვეთოთ, თუ რა წარმოდგენები არსებობდა ქალის შესახებ ადრეულ შუა საუკუნეებში და საიდან მოდის ისინი.

შუა საუკუნეებში ქალის მიმართ შეხედულების ჩამოყალიბებას ორი თვისობრივად განსხვავებული სახე განაპირობებდა-ევა და მარიამი, ევა კაცობრიობის დამღუპველად მიიჩნეოდა, ხოლო მარიამი მხსნელად, რადგან მან შვა ღმერთი დედამიწაზე. ამის მიხედვით, ადრინდელ შუა საუკუნეებში ქალის მიმართ, შეიძლება ითქვას გაორებული წარმოდგენები ჰქონდა. აღსანიშნავია, რომ ქალის ცოდვილ ბუნებაზე, მეტწილად, საეკლესიო მქადაგებლები საუბრობდნენ და მათ უსარგებლო არსებებად მიიჩნევდნენ.

ქალის მიმართ ამგვარი დამოკიდებულების ჩამოყალიბება არაერთმა ფაქტორმა განაპირობა. შუა საუკუნეები, ისევე, როგორც ყოველი ეპოქა, ეყრდნობა მანამდე არსებულ ტრადიციებსა და შეხედულებებს. აღნიშნული ეპოქისთვის ასეთი საყრდენი ორი იყო-ანტიკური და ქრისტიანულოი კულტურა, ამიტომ შუა საუკუნეები ძალიან მყარ თეორიულ და თეოლოგიურ ნააზრევზე დაფუძნდა. როგორც ცნობილია, ძველ რომსა და საბერძნეთში ქალი არ ითვლებოდა სრულფასოვან მოქალაქედ. ევსა და მარიამის სახე-სიმბოლურ გააზრებამდე არსებობდა პლატონისა და არისტოტელეს შეხედულებები ქალთან დაკავშირებით.

ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი გავლენა იქონია პლატონის ნააზრევმა. მისი „თეიმოსის“ მიხედვით, უღირსი მამაკაცის სული, სიკვდილის შემდეგ, ინაცვლებდა ქალში. ამ აზრით, უკვე გასაგებია, თუ როგორი დამოკიდებულება შეიძლებოდა ჰქონოდა პლატონს ქალების მიმართ. თუმცა, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ფილოსოფოსი „იდეალურ სახელმწიფოში“ ქალის ადგილს მაინც ხედავდა. არისტოტელეს მიაჩნდა, რომ ქალი მამაკაცთან შედარებით არასრულყოფილი არსება იყო, ის უპირატესად მამაკაცს მიიჩნევდა.

მიუხედავად პლატონისა და არისტოტელეს ამგვარი მოსაზრებებისა, ანტიკური ლიტერატურის მაგალითით თუ ვიმსჯელებთ, ქალი საზოგადოებრივი ფუნქციით საკმაოდ აქტიურია, აქ ცხადია, იგრძნობა მითოლოგიის გავლენა.

ქრისტიანული ტრადიციის შესახებ უკვე ითქვა, რომ აქ განმსაზღვრელი იყო ევასა და მარიამის სახეები, რომელთა მიხედვითაც ზოგიერთი ქალში მხოლოდ მაცდურ საწყისს ხედავდა, ზოგი იზიარებდა აზრს ქალის ღვთიურ ბუნებაზე. რელიგიური კონტექსტით განხილვისას, აღსანიშნავია ისიც, რომ ორაზროვნებას იწვევდა ქალის შექმნის ამბავიც- ქალი ღმერთმა გააჩინა მამაკაცის შემდგომ, მისი ნეკნისგან. ამის საფუძველზე, კაცი უპირატესად მიჩნეოდა. უნდა ითქვას, რომ დროთა განმავლობაში ეს წარმოდგენები შეიცვალა, მეათე საუკუნიდან ქალი აღარაა ისეთი დაკნინებული, როგორც მანამდე.

ამგვარი შეხედულების პირობებში ქალების ცხოვრება მარტივი არ იყო. ზოგადი აზრის ჩამოსაყალიბებლად უნდა გავიხსენოთ თუ როგორ ექცეოდნენ ქალებს ინკვიზიტორები. კარლ გინძბურგი სტატიაში „ინკვიზიტორი, როგორც ანთროპოლოგი“ საუბრობს ინკვიზიციური დოკუმენტების შესახებ, სადაც წარმოდგენილია, „კუდიანთა და ჯადოქართა“ პროცესები, რომელთა რიცხვშიც უმეტესად ქალები შედიან. სტატიაში ნათქვამია, რომ ინკვიზიტორები დევნიდნენ ასეთ ადამიანებს და გარკვეული კანონებიც კი არსებობდა მათ წინააღმდეგ. საგულისხმოა ის, თუ რატომ გაჩნდა ასეთი სტერეოტიპული შეხედულება ქალების მიმართ, რამ განაპირობა მათი კუდიანებად და ჯადოქრებად შერაცხვის ტენდენცია. *„ამგვარ ვითარებებში ბრალდებულები მეტ-ნაკლებად გაცნობიერებულად ცდილობდნენ გამოეხატათ ინკვიზიციის სტერეოტიპები, რომლებსაც მთელ ევროპაში ავრცელებდნენ მქადაგებლები, თეოლოგები, იურისტები.“[გინძბურგი; 2011:96.].* აქ ნათლად ჩანს არა მარტო ბიბლიური და ანტიკური გავლენა, არამედ წარმართული შეხედულებების კვალიც.

ამგვარმა აღქმამ და დამოკიდებულებამ ქალის მიმართ საკმაოდ ბევრი სტერეოტიპი ჩამოაყალიბა, რაც, ცხადია, ართულებდა მათ ცხოვრებას საუკუნეების განმავლობაში.

1.2 პიროვნული არსის აღქმა ადრეულ შუა საუკუნეებში

იქიდან გამომდინარე, რომ ჩვენს მიზანს წარმოადგენს ქალის არა განკერძოებულად, არამედ საზოგადოებასთან ინტეგრირებული ფუნქციით განხილვა, საჭიროდ მიგვაჩნია, განვიხილოთ ადრეული შუა საუკუნეების შეხედულებათა სისტემა ადამიანის რაობის, პიროვნების არსის გააზრების კუთხით.

ცხადია, როგორც ყველა, ისე ამ ეპოქის ლიტერატურა და ხელოვნება ზედმიწევნით ასახავს ეპოქის გამოძახილს. ეს ეხება არა მხოლოდ თემატიკას და იმ აქცენტებს, რომლითაც უნდა დაინტერესებულიყო შუა საუკუნეების ადამიანი, არამედ პერსონაჟისა და ზოგადად პიროვნების ასახვისა და გამოხატვის ხერხებს. სწორედ ეს საკითხია ჩვენთვის საგულისხმო, თუ როგორია ამ ეპოქის ადამიანი, რა გავლენა იქონია მასზე სოციო-კულტურულმა გარემოპირობებმა, რომელიც, შეიძლება ითქვას, სრულად იყო ნასაზრდოები თეოლოგიური მოძღვრებით. შუა საუკუნეების ადამიანითვის ხომ *„მთავარია დაპირისპირება არა სულისა და მატერიალურისა, არამედ „ცოდვაში შთავარდნილისა“ და სათნოებით მოსილისა“[შუშანაშვილი; 2010: 277].*

თვიდანვე უნდა განისაზღვროს, რომ ამ მიმართულებით, შუა საუკუნეების ცნობიერება სერიოზულად აბრკოლებდა პიროვნების თვითცნობიერების თავისუფალ გამოვლენას[შუშანაშვილი;2010:279]. იქიდან გამომდინარე, რომ ქრისტიანული რელიგია, ამ ეპოქის თეოლოგიური ნააზრევის მიხედვით, მთლიანად ”მამაშვილური

მორჩლებითაა“ გამყარებული, ადამიანი, როგორც პერსონა, მოკლებულია ინდივიდუალიზმის გაგებას.

პიროვნების საკითხის გააზრებისას, გვიწევს გავაანალიზოთ მის გარშემო არსებული ფსიქოლოგიურ-სოციალური წარმოდგენები და ყოველივე გავატაროთ ეპოქისათვის დამახასიათებელ ღირებულებათა სისტემის პრიზმაში. შუა საუკუნეების კულტურის თავისებურებათა გამო ერთმანეთისგან უნდა გავმიჯნოთ პიროვნებისა და ინდივიდუალურობის ცნებები. პიროვნება საზოგადოების ნაწილად ითვლება მაშინ, თუ მისი სოციალიზაცია განპირობებულია კულტურული თავისებურებების გათვალისწინებით. პიროვნება შუალედური რგოლია სოციუმსა და კულტურას შორის, მისი როლი გადამწყვეტია, რადგან მისი განვითარების სტადიების მიხედვით განისაზღვრება კულტურული ცვლილებები. მსჯელობენ იმის შესახებ, რა მიმართებაა ეპოქასა და ადამიანს შორის, როგორ აისახება მათი ურთიერთმიმართება ცივილიზაციის განვითარების სტადიებზე, რომელს უფრო დიდი გავლენა აქვს მეორეზე. ამ კითხვებზე ცალსახა პასუხი არ არსებობს, დამოკიდებულია იმაზე, თუ რომელი უფრო მძლავრად იმკვიდრებს თავს, სისტემა, რომელიც მართავს ადამიანს და მას მოაქცევს ეპოქალური აზროვნების ჩარჩოებში, თუ ადამიანი, რომელიც ახერხებს საკუთარი ინდივიდუალიზმით შეეწინააღმდეგოს დადგენილ ნორმებს. შუა საუკუნეების შემთხვევაში ეპოქალურმა თავისებურებებმა იმძლავრა, რადგან დამყარებული იყო კარგად ორგანიზებულ დოგმატურ სისტემაზე. ამ სისტემამ შეძლო და ადამიანს გამოაცალა თვითმყოფადი საწყისი-ინდივიდუალურობა. ცაკლე განხილვის საგანია რამდენად გულისხმობდა ამას ქრისტიანული რელიგია და ამ თემაზე შემდგომ გვექნება საუბარი.

ეპოქალური დაყოფის საფეხურეობრივად გაანალიზების დროს, თვალშისაცემია ის, რომ პერიოდი, რომელსაც შუა საუკუნეების სახელით მოვიხსენიებთ, ხანგრძლივობის თვალსაზრისით ყველაზე დიდი აღმოჩნდა. ამის ერთ-ერთ მიზეზად შეგვიძლია

სწორედ ზემოთ აღნიშნული ფაქტორი დავასახელოთ-რელიგიით გამყარებული, კარგად ორგანიზებული, სტრუქტურულად გამართული სისტემა, რომელიც ეპოქის საძირკველს წარმოადგენს და მასზე მორგებული ღირებულებები, როგორც ამ საძირკველზე დაშენებული მასალა, მათ შორის ექცევა ადამიანი. შუა საუკუნეების ხანგრძლივობის მეორე მიზეზად შეგვიძლია იმის დასახელება, რომ ადამიანი, როგორც ინდივიდი პასიურ ფაზაშია გადაყვანილი, მას არ შესწევს უნარი ცვლილებების განხორციელებისა.

ინდივიდუალურობის ცნება საკუთარი მეს თვითღირებულების გაცნობიერებას გულისხმობს, ეს არის იმ ასპექტების ერთობლიობა, რომელიც მხოლოდ ერთი კონკრეტული პიროვნების იდენტობას განსაზღვრავს. შუა საუკუნეების აზროვნების შესაბამისად, პიროვნება ვერ იქნება ინდივიდუალური მახასიათებლებით გამოჩეული, ამას განაპირობებს წმინდანის, როგორც ეთიკური იდეალის არსებობა. დოგმის მიხედვითაა განსაზღვრულია როგორი უნდა იყოს პიროვნება, რისკენ უნდა მიისწრაფოდეს ის. თუ იდეალი ერთია და ყველა მას უნდა ემსგავსებოდეს, აქ საუბარი ინდივიდუალური მახასიათებლების არსებობაზე აღარ წარმოადგენს მსჯელობის საგანს. მთელი შუა საუკუნეების მანძილზე ტიპურ ფიგურას წარმოადგენდა წმინდანის მონაზონ-ასკეტური სახე, მისი კულტი საეკლესიო და მისი გავლენით საერო ცხოვრების ერთ-ერთ მთავარ ფიგურას წარმოადგენდა წმინდანის კულტი, უნდა ითქვას, რომ ამაში განსაკუთრებული წვლილი ეპისკოპოსებმა შეიტანეს. მიუხედავად იმისა, რომ სიწმინდე, როგორც ზნეობრივი იდეალი, ჯერ კიდევ ანტიკური ეპოქისთვისაა ცნობილი, სწორედ შუა საუკუნეებში იძენს ის პირველხარისხოვან მნიშვნელობას.

წმინდანის კულტის მნიშვნელობის გააზრებიდან ცხადია, რომ ყველა ადამიანი, შუა საუკუნეებში, მიისწრაფოდა წმინდანის მიბაძვისაკენ, ყოველ შემთხვევაში, ეს მათი მიზანი უნდა ყოფილიყო. ამის განხორციელებაში კი სრულიად არ სჭირდებოდათ, უფრო მეტიც წინააღმდეგომად აღიქმებოდა ინდივიდუალურობის გამოვლინება.

შუა საუკუნეების ეპოქისათვის არსებობს მხოლოდ აბსოლუტური პიროვნების ცნება და ის დაკავშირებულია ღმერთთან. ადამიანის ღირებულებებისა და ქცევის ეთიკისათვის მხოლოდ ღმერთის პიროვნების გააზრებაა საკმარისი, მას არ სჭირდება ჩაუღმავდეს საკუთარ პიროვნებას. მიუხედავად ამისა, ამ პერიოდის ლიტერატურაში მაინც გვხვდება ჟანრები, სადაც აშკარაა ადამიანის პიროვნების გამოხატულება, მაგალითად: ავტობიოგრაფია, აღსარება, აპოლოგია , წმინდანთა ცხოვრება და სხვ. თუმცა, უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ შემთხვევაშიც ყურადღების ცენტრშია არა პიროვნება, არამედ პიროვნების მიმართება ღმერთთან, აქცენტირებულია მისი ის მახასიათებლები, რომლებიც ვლინდება ღმერთთან კავშირში. სწორედ ღმერთთან მიახლოებაა ადამიანის პიროვნებად ქცევის მთავარი კრიტერიუმი. ამ პერიოდის საეკლესიო დადგენილების მიხედვით, ადამიანი პერსონად იქცევა მონათვლის შემდეგ. სიტყვა პერსონა ანტიკურობაში აღნიშნავდა ნიღაბს, შუა საუკუნეების ეპოქაში მნიშვნელობა იცვალა და პერსონა და პიროვნება ერთმანეთთან გაიგივებული სახით გვხვდება. ბოეციუსი(VIს.) პერსონას განმარტავს *როგორც „დაუნაწევრებელ გონიერ სუბსტანციას“, თომა აკვინელი კი პერსონას უწოდებს ყველაზე სრულყოფილს ბუნებაში“ [შუშანაშვილი;2010:296].* აქედან გამომდინარე, ნათელია, თუ რა დატვირთვა ენიჭება შუა საუკუნეების ეპოქაში ადამიანის პიროვნების გააზრებას და სად იკვეთება, ან პირიქით, მნიშვნელობას კარგავს ადამიანის ინდივიდუალურობის აღქმის გააზრება.

ბუნებრივია ის ფაქტი, რომ ამ პერიოდის ტექსტებში პიროვნება იშვიათად საუბრობს თავისი თავის შესახებ, ამ ნაწარმოებებში არ ჩანს ადამიანების პიროვნული მახასიათებლები არარელიგიურ კონტექსტში, ადამიანის პიროვნების ცნების გააზრება დავიწროვებულია, რადგან ის მთლიანად ექცევა ქრისტიანობის გავლენის ქვეშ.

პიროვნების ცნების გააზრება კიდევ უფრო რადიკალურ ფორმებს იღებს ქალთან მიმართებაში. ამის მიზეზი, სწორედ, ზემოთ აღნიშნული სტერეოტიპული შეხედულებებია.

უნდა ითქვას, რომ საქართველოში, ამ მხრივ, არ იყო ისეთი მძაფრი ვითარება, როგორც ევროპაში, ცხადია, ამას ტრადიციები და სოციო-კულტურული ვითარება განაპირობებდა, თუმცა ზოგად ადრეულ შუა საუკუნეების ტენდენციებს, მაინც იზიარებს საქართველო და ეს უპირატესად ცხადდება ეკლესიის დიდი გავლენით სოციალურ, პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაზე. ამის საილუსტრაციოდ განვიხილავთ გიორგი მერჩულეს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებას," უფრო კონკრეტულად კი იმ პასაჟს, სადაც კარგად ჩანს სტერეოტიპებით გამყარებული ქალის სახე.

პიროვნების არსის შესახებ შუასაუკუნეებრივი ნააზრევის მიმოხილვასთან ერთად, საჭიროა განვსაზღვროთ ის ღირებულებათა სისტემა, რომელის მიხედვითად უნდა ეცხოვრა ადამიანს ადრეულ შუა საუკუნეებში.

1.3 ღირებულებათა სისტემა ადრეულ შუა საუკუნეებში

როგორც ითქვა, შუა საუკუნეების აზროვნების საფუძველი თეოლოგიური მოძღვრებებია. ამ პერიოდში ასხვავებენ ე.წ. თეოლოგიურ სათნოებებს, რომელებსაც ეფუძნება ამ ეპოქის ღირებულებათა სისტემა, ესენია: რწმენა, იმედი, სიყვარული, ცალკე გამოყოფენ ძირითად სათნოებებს-კეთილგონიერება, სამართლიანობა, ზომიერება და ძალა. მნიშვნელოვანია ის, რომ ქრისტიანულ ღირებულებათა სისტემაში მთავარი სათნოება არის მორჩილება. ამ სქემით ხელძღვანელობენ თეოლოგები შუა საუკუნეები ადამიანის არსისა და ცხოვრების შეფასების თვალსაზრისით და ფილოფოსიური შეხედულებებიც პირდაპირ უკავშირდება ქრისტიანულ მოძღვრებებს. არსებითი ცვლილებები, რაც განხორციელდა ამ

მიმართულებით, ეხებოდა მხოლოდ ცოდვების, სათნოებების შედგენილობასა და თანმიმდევრობას. ყოველივე განპირობებული იყო სოციალური და კულტურული პროცესებით.

მორალურ ცნებათა პირველი სისტემატიზებული სქემა მოგვცა ბერძენმა მოაზროვნემ-ევაგრე პონტოელმა(IV საუკუნე), მის მისი ნააზრევი დაეფუძნა სულის თვისებებს, რომლებიც მონაზვნების სულის სიმშვიდეს უწყობდნენ ხელს. ევაგრე ცოდვებს ორი მიმართულებით ყოფს: ხორციელი სურვილები და სულის მახინჯი მიდრეკილებები. როგორც მიუთითებს, მთავარი ცოდვა არის ამპარტავნება.

ნათელია, თუ რას ეფუძნებოდა და როგორ განისაზღვრებოდა შუა საუკუნეების მორალურ-ეთიკური ნორმები, რომლებიც ვრცელდებოდა არა მხოლოდ სასულიერო პირების ცხოვრებაზე, არამედ განსაზღვრავდა საერო ცხოვრების სოციალურ-კულტურულ მიმართულებასაც. ცოდვა, თავისთავად უარყოფითი ღირებულებაა, მათი სისტემატიზაცია კი წარმოადგენს ღირებულებათა მოწესრიგების მცდელობას. ეკლესია და საერო ცხოვრება, ღირებულებათა მოწესრიგების თვალსაზრისით, ურთიერთზემოქმედი ფაქტორები იყვნენ, ცოდვათა თანმიმდევრობა იცვლებოდა ცოდვის სიმძიმის ხარისხის მიხედვით, ბუნებრივია, სოციო-კულტურული გარემო მნიშვნელოვნად განსაზღვრავდა ცოდვის მნიშვნელობას. მიუხედავად ამისა, შუა საუკუნეების აზროვნების არსებითი ცვლილებები არ მომხდარა. ამ ეპოქის კულტურა ეთიკურად ტენდენციურია, ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ სამყაროს შუა საუკუნეების მოდელში ეთიკურად ნეიტრალური ძალები არ არსებობდა, დამოკიდებულება ცალსახად რადიკალური იყო და ეს განპირობებულია სწორედ იმ ფაქტორით, რომ ამ პერიოდის მორალურ სტანდარტს ეკლესია განსაზღვრავდა. ყველაფერი ძალიან მარტივად განისაზღვრებოდა და თავს იყრიდა ერთი საერთო თემის ირგვლივ-სიკეთისა და ბოროტების ურთიერთმიმართება, იმის მიხედვით, თუ რომელი ძალა იმარჯვებს ადამიანის სულში.

2.მეოცე საუკუნის ფილოსოფიური ნააზრევის მიმოხილვა

2.1ადამიანის ღმერთთან დაპირისპირება; ნიცშეს „ღმერთის სიკვდილი“-მიზეზები და შედეგები

მეოცე საუკუნე გარდამტეხი აღმოჩნდა რელიგიურ-ფილოსოფიური შეხედულებების რღვევისა და სრულიად ახალი მსოფლმხედველობის დამკვიდრების თვალსაზრისით. ეპოქამ უარყო მანამდე არსებული გამოცდილებები, თანამედროვე ტექნოლოგიემა და აღმოჩენებმა საზოგადოებრივი აზროვნება დიდი დაეჭვების ფაზაში გადაიყვანა, საბოლოოდ კი ყველაფერი იქამდე მივიდა, რომ ფილოსოფიური სწავლების ერთ-ერთმა გერმანელმა ფუძემდებელმა, ფრიდრიხ ვილჰელმ ნიცშემ განაცხადა-„ღმერთი მოკვდა!“ ამ განცხადებას, რა თქმა უნდა, წინ უძღვოდა ადამიანების მიერ გამუდმებული ღმერთის ძიება, სასოწარკვეთამ მოიცვა სამყარო და პიროვნება ეგზისტენციალურ კრიზისში მოექცა. ნიცშემ თავისი ეპოქალური განცხადებით სწორედ იმ პერიოდში არსებულ კაცობრიობის ზნეობრივ კრიზისს გაუსვა ხაზი, რომელიც გამოწვეული იყო რწმენისა და მორალური პრინციპების აბსოლუტური დაკარგვითა და დეგრადაციით.

როგორც მიუთითებენ, ნიცშე ათეისტი იყო, მას საერთოდ არ სწამდა ღმერთის არსებობის, ამაზე პასუხის გაცემა არ წარმოადგენს ჩვენს მიზანს, თუმცა ნებისმიერ შემთხვევაში, ნიცშე თავის ცნობილ „ღმერთის სიკვდილში“ ღმერთს იდეის სიკვდილს გულისხმობდა. ნიცშე წარმოგვიდგება *„ახალ იოანე ნათლისმცემლად ფილოსოფიური აზრის ისტორიაში“[თევდორაძე; 1998:3].* მისმა სახელმა მნიშვნელობანი კვალი დატოვა ევროპაში და, შეიძლება ითქვას, რომ მისი ნააზრევი ეპოქალური გარდატეხის საწყისად იქცა ფილოსოფიურ გონში. ღმერთის სიკვდილი, ანუ ღმერთის არარსებობა ახალ რელიგიად წარმოჩინდა. უნდა დავაკონკრეტოთ, რომ საუბარია ძველი ღმერთის არარსებობაზე, მის სიკვდილზე, რადგან ახალი ღმერთი გახდა თავად ადამიანი. ნიცშემ იქადაგა *„ეს რელიგია-რელიგია ტრაგედიისა, ნიღბებისა, რელიგია სულის თავისუფლებისა, ბაკქანალიისა“[მ.თევდორაძე; 1998:3]* და ეპოქა, მიუხედავად ნიჰილისტური განწყობის სიმძიმისა, სრულიად მზად აღმოჩნდა ამ სიახლის მისაღებად, რადგან *„ადამიანები ხომ იმდენად ცნობისმოყვარენი შექმნა ღმერთმა, რომ სწორედ აკრძალული უკვდავებისკენ მიისწრაფიან ანგარიშმიუცემლად. ფილოსოფოსი მივიდა დასკვნამდე, რომ კაცობრიობას ღმერთი არ სჭირდება, რომ ის „ხელფეხშემკვრელი გენიაა თავისუფლების სულისა“[თევდორაძე; 1998:13]* და რახან ადამიანებს ღმერთი არ სჭირდებათ, მათ მოკლეს ის.

აღსანიშნავია, რომ ღმერთთან ბრძოლის მაგალითები ჯერ კიდევ ზეპირსიტყვიერებაში გვხვდება. ამ მხრივ გამონაკლისი არ არის ქართული ფოლკლორი. გავიხსენოთ ამირანის მითი, რომლის მიხედვითაც ამირანი კაცობრიობის თვისუფლების სიმბოლოდ გვევლინება, მან რომ ჯაჭვი გაწყვიტოს, კაცობრიობა ბორკილებისგან გათავისუფლდება და ადამიანი გაუთანასწორდება ზეციურ მამას. კაცობრიობის ჯერ კიდევ წარმართული პერიოდის აზროვნება მიილტვის თავისუფლების იდეისაკენ. ამ დროისთვის ეს სრულიად ბუნებრივია, რადგან წარმართულ ეპოქაში მოკვდავ ადამიანს ყოველთვის ჰყავს კერპი, რომელსაც ემონება. უნდა გავუსწროთ სათქმელს

და წინასწარ დავსვათ აქ გაჩენილი მთავარი კითხვები, რომელსაც მოგვაინებით გავცემთ პასუხს-რამ გამოიწვია ადამიანის ესოდენ მძაფრი შინაგანი პროტესტი ღმერთის წინააღმდეგ ქრისტიანობის ფარგლებში, რატომ დაგაკრა მან თავისუფლების განცდა ღმერთის არსებობის პირობებში?! როგორც ზემოთ აღინიშნა, ამ ნაშრომით შევეცდებით წარმოვაჩინოთ თუ რა გზა გამოიარა ადამიანმა იქამდე, სანამ ღმერთს მკვდრად გამოაცხადებდა და ამის შემდეგ როგორ განაგრძო ცხოვრება. ცხადია, ვერ განვიხილავთ ყველა ეპოქას ქრისტეს დაბადებიდან დღემდე, ამიტომ გამოვყავით ისეთი პერიოდები, სადაც მკვეთრად გამოხატულია განსხვავება სოციალური, რელიგიური, კულტურული და პოლიტიკური კუთხით-შუა საუკუნეები, მეოცე საუკუნე და თანამედროვე ეპოქა.

2.2თავისუფლებისა და ქრისტიანობის ურთიერთმიმართება, ნიცშესა და კანტის შეხედულებები

როგორც ითქვა, მეოცე საუკუნეში ადამიანი დარჩა ღმერთის გარეშე და ნიცშეს აზრით, *„ღმერთო ადამიანი თავისუფალი, ძლიერი და ამაყი სულის მატარებელია, რამეთუ გაუფასურდა ყველაზე წმინდა და საკრალური, რაც კი ჰქონდა ადამის მოდგმას და რისიც სწამდათ, მოკვდა რწმენა, რწმენამოკლული ადამიანი კი თვისუფალია ყოველგვარი დოგმისა და, აქედან გამომდინარე ყოველგვარი პასუხისმგებლობისაგან“[თევდორაძე;1998:.46].* ღმერთთან დაპირისპირება, ამ შემთხვევაში საკუთარ ბედისწერასთან დაპირისპირებასაც ნიშნავს, ადამიანს, რომელიც თავადაა საკუთარი ცხოვრების ღმერთი, არ სურს ბედის მორჩილი იყოს, მას თავად უნდა შექმნას და აკონტროლოს ის.

ამ ყველაფრის ფონზე, საინტერესოა ნიცშეს მსჯელობა შიშსა და სიყვარულზე, რომელიც ადამიანს უფლის მიმართ გააჩნია. როგორც ის ამბობს, დაუშვებელია შიშმა სიყვარული წარმოშვას, რადგან შიში იმდენად უარყოფითი ფენომენია, რომ მხოლოდ

სიძულვილის წარმოშობა შეუძლია, შიში ძალადობასთან ასოცირდება. ფილოსოფოსი არ უარყობს, რომ ეს გრძნობა ამოქმედებს ადამიანს, *„ვისიმე ან რისიმე შიშით ადამიანმა შეიძლება შექმნას რაიმე, მაგრამ ეს სიყვარულით ნაკეთები საქმე როდი იქნება.[თევდორაძე;1998:52].*

ქრისტიანობა, როგორც რელიგია, სიყვარულის კონცეფციაზეა აგებული, *„ რომელი ეგოს სიყუარულსა ზედა, ღმერთი მის თანა ჰვიეს და იგი ღმრთისა თანა"[Iიოან 4:16].* სიყვარული ქრისტიანობის მიმდევრებისთვის მთავარ ღირებულებად დასახა ქრისტემ, ამ რელიგიის მიხედვით, თავად სიყვარული არს ღმერთი. საგულისხმოა, თუ როგორ სიყვარულზეა საუბარი, რადგან ამ მიმართულებით არსებობს აზრთა სხვადასხვაობა. ერთნი თვლიან, რომ ქრისტეს არ უგულისხმია იმ ადამიანების სიყვარული, რომლებიც ხელს უშლიან ჭეშმარიტი რელიგიის, ქრისტიანობის გავრცელებას, სიყვარული, ამ თვალსაზრისით არ ნიშნავს სიბრმავეს და განურჩევლობას. არსებობს სრულიად საპირისპირო შეხედულებები, რომლის მიხედვითაც, ღმერთი და ადამიანები უნდა გიყვარდეს უპირობოდ და სწორედ ამაში გამოიხატება უფლისადმი რწმენა. თუმცა, შეუძლებელია უარყო მოსაზრება იმის შესახებ, რომ სიყვარული სიბრძნის(ცოდნის) გარეშე ფანატიზმია. ქრისტიანების ღმერთი კი არ ითხოვს ფანატიკურ დამოკიდებულებას, ის მოევლინა ქვეყანას, რათა ამცნოს ხალხს ჭეშმარიტი რელიგიის შესახებ, აქედან გამომდინარე, ეს არაა ბრმა მორჩლება, გააზრებული, სიბრძნეზე დაფუძნებული სიყვარულის გამოხატულებაა.

ქრისტიანული რელიგია სიმბოლური სახისმეტყველების ყველაზე მკაფიო მაგალითია, ამაში იგულისხმება, როგორც ძველი და ახალი აღთქმა, ასევე ყველა ქრისტიანული რიტუალი, სიმბოლოებს უმთავრესი დატვირთვა აქვთ ლიტურგიაში, წირვა მთლიანად სიმბოლოთმეტყველებაა, აქედან გამომდინარე, სიმბოლო ქრისტიანობაში ძირითადი სამეტყველო ენაა. სწორედ აქ შეიძლება დავინახოთ თუ რამდენად მნიშვნელოვანია ქრისტიანული რელიგიისთვის არა ბრმა ფანატიზმი, არამედ, გააზრებული, ცოდნაზე

დაფუძნებული რწმენა, გარდა ამისა, ამ მიმართულებით გააზრებაში, კარგად ჩანს თავისუფალი სულის კონცეფციის მნიშვნელობა. ქრისტემ ადამიანს მიუთუთა ჭეშარიტებაზე, დაანახა გზა, თუ როგორ მივიდეს ამ ჭეშმარიტებამდე, მაგრამ მისცა არჩევანის საშუალება.

ვუბრუნდებით ნიცშეს შეხედულებას, სადაც უკვე გასაკვირი აღარაა თუ რატომ გაუჩნდა მას გაორება ქრისტეს მიმართ დამოკიდებულებაში, განსაკუთრებით, თუ მანამდე არსებულ ქრისტიანული რელიგიის ისიტორიას გავითვალისწინებთ. საკითხის ჩაღრმავებისას, ნიცშეს დადანაშაულება იმაში, რომ არასწორად ესმოდა ქრისტიანობის არსი და ამიტომ გამოაცხადა ადამიანი ღმერთის გარეშე თავისუფალ ინდივიდად, ზედმეტად უსაფუძვლო განცხადება იქნება. საქმე ისაა, თუ როგორი განვითარება ჰპოვა ქრისტიანობამ კაცობრიობის ისტორიაში და არა ის, თუ რა იყო ქრისტიანობა სინამდვილეში.

ჩვენი შეხედულების განმტკიცებაში გვეხმარება კანტის ნააზრევი, რომელსაც სწამდა ღმერთის არსებობის, მაგრამ უარყოფდა რელიგიურ დოგმატიზმს. კანტის მიხედვით, *„ერთადერთი მართლაც აუცილებელი პირობა ადამიანის ზნეობრიობისათვის არის თავისუფლება. ღმერთისა და სულის უკვდავების იდეები ისე აუცილებელი არ არის მორალური კანონის არსებობისთის, როგორც თავისუფლება, მათი დაშვება შეიძლება და უნდა დავუშვათ როგორც ისეთი რამე, რაც ეხმარება ადამიანს ზნეობრივი ცხოვრების ტვირთის ზიდვაში“[კანტი;1972:113-114]* თავისუფლებას კანტი განსაზღვრავს, როგორც ზნეობრივ არსებად ყოფნის შესაძლებლობას. მისი აზრით, შიშითა და უკვდავყოფის მიზნით განპირობებული ზნეობრიობა ადამიანს მორალურ არსებად არ აქცევს, ეს მხოლოდ შეიძლება დაეხმაროს მას მორალურობაში. მორალურად ძლიერ პიროვნებად კანტს მიაჩნია ადამიანი, რომელიც ამის გარეშე ახერხებს დარჩეს ზნეობრივი. მარტივი არაა ამქვეყნად ზნეობრივი ტვირთის ზიდვა,

ამიტომ ადამიანი, ღმერთისა და სულის უკვდავების სახით, ნუგეშს ეძებს.[კანტი; 1972:205].

კანტის ნააზრევი კარგად ასახავს იმ დამოკიდებულებას, რაც უნდა არსებობდეს ღმერთისა და ადამიანის მიმართებაში, თავისუფალი სული უნდა იყოს ზნეობრიობის წინაპირობა, რასაც, სიღრმისეული დაკვირვებისას, ქრისტიანობა არ უპირისპირდება, პირიქით, თავისუფლება, როგორც არჩევანი ამ რელიგიის მიმართულებას განსაზღვრავს. არჩევანის უფლებითაა განპირობებული, რომ ქრისტეს დაბადების შემდეგ, სხვადასხვა ეპოქებში სხვადასხვაგვარად ესმით ადამიანებს ქრისტიანობის არსი. სწორედ ამის ერთ-ერთი მაგალითია შუა საუკუნეების ეპოქა, რა პერიოდშიც ქრისტიანობამ ის მიმართულება მიიღო, რის საფუძელზეც ნიშემ ხმამაღლა განაცხადა: *„ქრისტიანობას მე ვუწოდებ კაცობრიობის ისტორიის წარუშლელ ლაქას“ [თევდორაძე;1998:53]*-ამბობდა ნიცშე და უნდა ითქვას, რომ ამ სიტყვების წარმოთქმისას ეს ადამიანი კარგად გრძნობდა თავისი ეპოქის სულისკვეთებას, ისევე, როგორც ისინი, ვინც შუა საუკუნეების ქრისტიანულ დოგმატიზმს ჩაუყარა საფუძველი.

ამ ეპოქიდან სამყაროს შექმნისა და არსებობის იდეა ფიზიკის კანონებს მიეკუთვნა და არა ღვთიური განგების ძალას. ეს გახდა მეოცე საუკუნის რეალობა. ჩვენთვის მნიშვნელოვანი კი არის ის, რომ ამ ეპოქიდან მორალის გააზრდება აღარ გულისხმობს ღმერთის არსებობის აუცილებლობას, მორალურ თეორიებს შეუძლიათ იარსებონ ღმერთზე მითითების გარეშე, ფილოსოფია და მეცნიერება გახდა მორალის, ღირებულებებისა და სამყაროში არსებული წესრიგის სათავე. ცხადია, ეს ყოველივე მარტივ პროცესად არავის წარმოედგინა, რელიგია, ამ შემთხვევაში ქრისტიანობა, წარმოადგენს სისტემას, რომელსაც სწორედ უფლის რწმენა ამყარებს, „ღმერთის სიკვდილით“ კი, ცხადია, მთელი სისტემა ჩამოიშალა. ღმერთის გარეშე დარჩენილ ადამიანს სასოწარკვეთა მოიცავს და ეს ბუნებრივიცაა, რადგან ჩნდება კითხვა, ჰქონდა

თუ არა ადამიანის ცხოვრებას აზრი ღმერთისა და რწმენის გარეშე?! მდგომარეობას, რომელშიც აღმოჩნდა კაცობრიობა, ნიცშემ ნიჰილიზმი უწოდა.

მეოცე საუკუნე, კულტურული თვალსაზრისით, ძალიან მრავალფეროვანი აღმოჩნდა, ადამიანმა, მის სულში მიმდინარე კრიზისის გამო, არაერთი მიმართულებია მოსინჯა სიტუაციიდან თავის დასახსნელად. მეოცე საუკუნეს აგვირგვინებს პოსტმოდერნიზმის ეპოქა, რომელზე ცალკე ვისაუბრებთ დათო ბარბაქაძის „ტრფობა წამებულთას“ განხილვისას.

აქ მოხმობილი რელიგიურ-ფილოსოფიური ნააზრევის საშუალებით ვცდილობთ წარმოვაჩინოთ თუ რა განაპირობებდა საზოგადოებრივი აზროვნების ჩამოყალიბებას, როგორ ვითარდებოდა ადამიანი ეპოქალური ცვლილებების შესაბამისად და ამ ყოველივეზე დაყრდნობით, ავსახავთ ქალის მნიშვნელობისა და რეალიზების სურათს ადრეული შუა საუკუნეებიდან თანამედროვეობამდე.

3. „სიძვის დიაცის“ სახე „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ მიხედვით

3.1 ნაწარმოების ზოგადი მიმოხილვა

ნაწარმოებთა ანალიზს ვიწყებთ ქრონოლიგიური თანმიმდევრობით-„გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებით“. ამ ნაწარმოებში, ჩვენი ყურადღება მიემართება კონკრეტულ ეპიზოდს, აშოტ კურაპალატისა და სიძვის დიაცის სიყვარულის ამბის პასაჟს, თუმცა ცხადია, გვერდს ვერ ავუვლით სრული ნაწარმოების მიმოხილვას.

ჰაგიოგრაფია ბერძნული სიტყვაა (ჰაგიოს-წმინდანი, გრაფოს-ვწერ), გულისხმობს საეკლესიო მწერლობის თხობითი ჟანრის ნაწარმოებს, მასში აღწერილია ქრისტიანობის გამავრცელებელთა და ქრისტიანობისთვის წამებულ წმინდანთა ცხოვრებას. კ.კეკელიძის მიხედვით, ჰაგიოგრაფიული ჟანრის თხზულებები დათავეს იღებს Vსაუკუნის მეორე ნახევრიდან („შუშანიკის წამება“), კლასიკურ პერიოდად ითვლება V-XI საუკუნეები.

„შუა საუკუნეები ქართველ მწერლებს (განსაკუთრებით სასულიერო მწერლებს) და მათ ეპოქას ბიბლიაში ამოკითხული ჰქონდათ საკუთარი თავი. განსაკუთრებით შუა საუკუნეების ქართულმა ეპოქამ და ამ ეპოქის მწერლებმა იპოვეს ბიბლიაში საკუთარი თავის გამოხატვის საყრდენი. ამ მხრივ განუმეორებელნი არიან ქართველი ჰაგიოგრაფები და ჰიმნოგრაფები, ისინი ბიბლიაში აქსოვენ თავიანთ სულიერ სამყაროს, მრწამსს, მსოფლმხედველობას, იდეალებს...[მოსია;2011:9].

გიორგი მერჩულეს ჰაგიოგრაფიული ნაწარმოები „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ დაწერილია მეათე საუკუნეში. ამ პერიოდში ჰაგიოგრაფიული ჟანრი, მხატვრული თვალსაზრისით უკვე განვითარების მაღალ საფეხურზეა, როგორც ითქვა, კ.კეკელიძე ამ პერიოდს კლასიკურ ხანას უწოდებს. ნაწარმოების ავტორი, არ შემოიფარგლება მხოლოდ ფაქტობრივი ინფორმაციის თხრობით, ტექსტი სტრუქტურულად გამართულია და გამოირჩევა მაღალმხატვრული ლიტერატურული ფორმებით. ცხადია, ნაწარმოებს ჰყავს მთავარი პერსონაჟი-გრიგოლ ხანძთელი, რომლის ირგვლივაც ვითარდება სიუჟეტი. აქვე უნდა ითქვას, რომ ჰაგიოგრაფიული ტექსტი, როგორც სიუჟეტური, ისე პერსონაჟის თვალსაზრისით ცხადია, ავლენს თავისებურებებს, რადგან ისტორიულ ფაქტებს ემყარება, რეალურად არსებული პიროვნებების ისტორიებია გადმოცემული და არა გამონაგონი. ჰაგიოგრაფიული ნაწარმოების სიუჟეტი, ცხადია ვერ იქნება სიუჟეტი დღევანდელი ტრადიციული გაგებით. მკაცრად განსაზღვრულია დრო და სივრცე ისტორიული კუთხით, გვაქვს

გარკვეული თანმიმდევრობაც, თუმცა გიორგი მერჩულე არღვევს მანამდე არსებულ ნარატივის ქრონოტოპულ ტრადიციებს და გვთავაზობს სრულიად ახალ სტრუქტურას. ქრონოლოგიურად დალაგებლ ამბებს შორის გვხვდება ჩართული ეპიზოდები, რომლებიც დაკავშირებულია ტექსტის ძირითად ხაზთან, ამძფრებს და ასაბუთებს მანამდე მოთხრობილს, მკითხველს უადვილებს დასკვნის გამოტანას, რაც დადებითათ აისახება ნაწარმოების მხატვრულ ღირებულებაზე. უნდა ითქვას, რომ ყველა შემთხვევაში, ჩართული ეპიზოდები ასახავს საერო ცხოვრების ფრაგმენტებს და ამჟღავნებს გრიგოლ ხანძთელის დამოკიდებულებასა და მოქმედებას ამ სიტუაციებთან მიმართებაში.

3.2 „სიძვის დიაცისა“ და აშოტის სიყვარულის ამბის ჰაგიოგრაფიულ ნაწარმოებში ჩართვის მოტივები

როგორც აღინიშნა, გიორგი მერჩეულეს შემთხვევით არ ჩაურთავს საერო ისტორიები ჰაგიოგრაფიულ ტექსტში, თუმცა, ვფიქრობთ, ეს საკითხი უფრო ვრცლად და სიღრმისეულად განხილვის თემაა. რატომ დასჭირდა ავტორს თხზულებაში საერო ცხოვრების თემატიკის შემოტანა?! აქ შეიძლება გამოვყოთ რამდენიმე მთავარი

მომართლება. ზემოთ ნათქვამის გავრცობისას, ცხადია, იმის გათვალისწინებით, რომ ნაწარმოები სასულიერო პირის ღვაწლზეა ორიენტირებული, ერთ-ერთ მთავარ მიზნად გავლენის ასახვის ფაქტორი შეგვიძლია მივიჩნიოთ. გიორგი მერჩულე ცდილობს, პარალელური, საერო ცხოვრების ხაზის შემოტანით მკითხველს დაანახოს X საუკუნის სოციალურ-კულტურული ფონის საერთო და რეალური სურათი. გვეძლევა იმის გააზრების საშუალება, რა კავშირი და ურთიერთმიმართებაა სასულიერი და საერო ცხოვრებას შორის.

ზედაპირულ დონეზე დასკვნის გამოტანა რთული არ არის, ეკლესია ძალიან დიდი გავლენით სარგებლობს, რაც სრულიად ბუნებრივია ეპოქის თავისებურებების გათვალისწინებით. „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ სწორედ იმ ეპოქის ტექსტია, რომლის რელიგიურ-ფილოსოფიურ საფუძველსაც თეორიულ წანამძღვრებში არაერთხელ გავუსთ ხაზი. ეკლესია, სასულიერო პირები ქრისტიანული მორალის გამტარებლები არიან, მათი მიზნის განხორციელების გზა არ შემოიფარგლება მხოლოდ ლოცვითა და მარხვით, ისინი აქტიურად მოღვაწეობენ ქრისტიანობის გავრცელების კუთხით, აშენებენ ეკლესია-მონასტრებს, წარმართავენ ქართული პოლიტიკური კურსის ორიენტირებს. ეს, თავისთავად, გულისხმობს სოციალური ცხოვრების მართვის სტრატეგიების განსაზღვრას ეკლესიის მიერ.

ამ ვითარებაში, რელიგიით განსაზღვრული ნორმებისა და ღირებულებების დაცვა, უპირველესად, სამეფო კარის ვალდებულებაა, რადგან ის უნდა იყოს მაგალითი საერო საზოგადოებისთვის, მარტივად და უფრო ზუსტად რომ ვთქვათ-ხალხისთვის. აქედან ცხადია, ეკლესიის გავლენის არეალი უბრალოდ კი არ მოიცავს სამეფო კარს, არამედ, სწორედ აქედან იწყება ათვლის წერტილი. აქვე უნდა გავუსვათ ხაზი ქართველ მეფეთა წარმომავლობის საკითხს, ერთ-ერთი თეორიის მიხედვით, ისინი დავით წინასწარმეტყველის შთამომავლები არიან რაც, რა თქმა უნდა კიდევ უფრო დიდ პასუხისმგებლობას ანიჭებს მათ. ეს თეორია მეფეთა წარმომავლობის შესახებ არაერთ

ნაწარმოებში გვხვდება, განსაკუთრებით ჰაგიოგრაფიულ ჟანრში. „დავით წინასწარმეტყველისა და უფლისა მოერ ცხებულისა შვილად წოდებულო ხელმწიფეო, მეფობაი და სათნოებანიცა მისნი დაგიმკვიდრენ ქრისტემან ღმერთმან“ [მერჩულე;207:89). ბუნებრივია, გარდა იმ მოცემულობისა, რომ ქრისტიანობა საქართველოში მეოთხე საუკუნიდან სახელმწიფო რელიგიად იყო გამოცხადებული, კავშირს ეკლესიასა და ქართველ მეფეებს შორის ძალიან ამყარებს ის ფაქტი, რომ მეფე ე.წ. „შუამავალია უფალსა და ხალხს შორის“, ის ღმერთის მიერაა კურთხეული, მისი მეფობა უფლის ნების აღსრულებად მიიჩნევა.

აღნიშნულ საკითზე საუბარი აკონკრეტებს ჩვენი თემის სამოქმედო არეალს და უკვე შეგვიძლია „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებიდან“ გამოვყოთ ის პასაჟი, რომელსაც მიემართება ჩვენი მსჯელობა-აშოტ კურაპალატისა და „სიძვის დიაცის“ სიყვარულის ისტორია.

ეკლესიისა და სამეფო კარის ურთიერთმიმართებაზე მსჯელობისას იკვეთება ჩვენთვის საინტერესო ხაზი, რომელიც უკავშირდება მეფის, როგორც პიროვნების ინდივიდუალურიბის გამოხატულების გააზრებას. იმის შესახებ ცალკე ვისაუბრებთ, თუ რამდენად შეეძლო მეფეს საკუთარი იდენტობის რეალიზება, სად იწყებოდა და სად მთავრდებოდა მისი „უსაზღვრო“ უფლებები და უპირატესობები სხვა ადამიანებთან შედარებით, მითუმეტეს ქართული ეკლესიის აღზევების ხანაში.

გიორგი მერჩულეს კიდევ ერთი მამოტივირებელი ფაქტორი აშოტისა და „სიძვის დიაცის“ თემის ტექსტში ჩართვასთან დაკავშირებით, არის ის, რომ, ჩვენი აზრით, ავტორს სურდა მკითხველისათვის დაენახვებინა საერო პირების, ამ შემთხვევაში მეფისა და მისი საყვარელი ქალის რეალური ცხოვრების ასპექტები. მას რომ მხოლოდ გრიგოლ ხანძთელსა და მის თანამოძმეებზე მოეთხრო, მკითველს გაუჭირდებოდა ადამიანთა ცხოვრების რეალისტურ პერსპექტივაში აღქმა. ამით მერჩულემ ჰაგიოგრაფიული ჟანრის საზღვრები გააფართოვა, მკითხველს დაანახა საეკლესიო

ნორმების ე.წ. „გადაცდენა“ ქრისტიანი ადამინების მიერ. ამით პერსონაჟებს მიწიერი ხასიათები მიანიჭა, თუმცა ყოველივე გააზრებულია ჰაგიოგრაფიული ჟანრის მისიის კონტექსტში. ქრისტიანულ სამყაროში, ყველაფერი, რაც ეწინააღმდეგება სარწმუნოებას, ცოდვად აღიქმება. წმინდა მამები აღნიშნავენ რამდენად რთული და მნიშვნელოვანია ცოდვებთან გამკლავება, ამ შემთვევაში განსაკუთრებით ვუსვამთ ხაზს ხორციელ ვნებებს.

ზემოთ ვისაუბრეთ იმის შესახებ, რომ მთელი შუასაუკუნეებრივი ეთიკა, ქრისტიანულ მოძღვრებებს ემყარება. პერსონჟების ქცევის მოტივის გასაანალიზებლად გვჭირდება განხილვა, თუ რა არის ცოდვა. მიმოვიხილავთ როგორი შეხედულებები ყალიბდებოდა ამ საკითხთან დაკავშირებით საუკუნეების განმავლობაში. სახარების მიხედვით, *„ცოდვა არის ურჯულოება“ [1იოან.3:4],* ანუ *“ცოდვა არის სულიერი ცხოვრების კანონების დარღვევა, სულიერი კანონების დარღვევას კი მოსდევს უბედურება და თითვანადგურება”[იოანე ოქროპირი;2019:3].*

3.3 წმინდა მამათა შეხედულებები მრუშობისა და სიძვის ცოდვის შესახებ

სამაგისტრო ნაშრომის თემიდან გამომდინარე, ჩვენთის აქტუალურია მრუშობისა და სიძვის ცოდვაზე საუბარი, რომელიც ცოდვად მიიჩნეოდა ჯერ კიდევ ძველი აღქმის

ეპოქაში, რადგან ის *არის "ადამიანის ბუნების შეურაცხყოფა, ადამიანის ბუნების უმთავრესი თვისებების ბოროტად გამოყენება, ბუნების კანონების რღვევა"[იოანე ოქროპირი;2019:6],* ქორწინება კი ადამიანისთვის ბუნებითი წესის აღსრულებაა.

კიდევ უფრო გამძაფრდა შეხედულებები ახალ აღთქმაში, რადგან ქრისტეს დაბადების შემდეგ ადამიანი მის ნაწილად აღიქმება, მრუშობა სიწმინდის დარღვევაა, ამიტომ, როცა ადამიანი მრუშობს, ის არა მხოლოდ საკუთარ თავს წაიბილწავს, არამედ შეურაცხყოფს ქრისტეს. სიწმინდე სიძვისა და მრუშობის საპირისპირო სათნოებაა, მისი დაცვით ადამიანი ადიდებს უფალს.

ქრისტიანობის მიხედვით ხორციელი ურთიერთობა ქალსა და კაცს შორის ქორწინების გარეშე არის ცოდვა, მოუხედავად იმისა, რომ ეს ურთიერთობა ურთიერთთანხმობის საფუძველზე ხორციელდება და ამით არავის ადგება ზიანი. წმინდა მამათა განმარტების მიხედვით, ქორწინების დროს ქალი და მამაკაცი ერთმანეთის სხეულის პატრონები ხდებიან, ანუ, დაქორწინებულ ადამიანს თავისი სხეული აღარ ეკუთვნის, არამედ მის მეუღლეს, ამიტომ მას არ აქვს უფლება სხვას მიუძღვნას *იგი:"სიძვის თავიდან ასაცილებლად, ყველა კაცს თავისი ცოლი ჰყავდეს და ყველა ქალს თავისი ქმარი...ცოლი როდია თავისი სხეული უფალი, არამედ ქმარი და არც ქმარია თავისი სხეული უფალი, არამედ ცოლი[1კორ.7:2,4].*

როგორც ითქვა, ქრისტიანობის მიხედვით, მრუშობის ცოდვა იმდენად ძლიერად აზიანებს სულს, რომ თითქმის განუკურნებელ ჭრილობად აჩნდება მას. მრუშობით დამარცხებული ადამიანი კარგავს ღვთის მადლს, ქრისტიანული შეხედულებით კი ეს ყველაზე დიდი სასჯელია, რაც შეიძლება ადამიანმა მიიღოს. სინანული და მწუხარებაში ყოფნაა უკვე ჩადენილი ცოდვისგან გაჩენილი ჭრილობის მოშუშების გზა. აუცილებელია საკუთარ თავზე სულიერი მუშაობა, რადგან *„მწუხარება და განსაცდელები აკვდინებენ ვნებებს და მათით ტკბობას, სულიერი უმოქმედობა კი კვებავს და აცოცხლებს ვნებებს" [ღირსი ისააკ ასური;2019:15].*

ეს არის ძირითადი შეხედულებები ქრისტიანული კუთხით, რაც ჩამოყალიბდა მრუშობისა და სიძვის ცოდვასთან დაკავშირებით. აქ გამოთქმული მოსაზრებები ქმნის საკმაოდ მყარ იდეოლოგიურ საფუძველს, რომელიც, თანდათან განვითარდა და აისახა ქრისტიანულ ერებზე, სოციალური თუ კულტურული მიმართულებით. სწორედ ამ იდეოლოგიის აქტუალურობას ვხედავთ „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ უფრო კონკრეტულად კი, აშოტ კურაპალატისა და სიძვის დიაცის ურთიერთობის პასაჟში.

ეკლესიას რომ მკაცრად განსაზღვრული პოზიცია აქვს ცოდვასთან დაკავშირებით, ეს კარგად ჩანს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ მიხედვითაც. მნიშვნელოვანია იმის გააზრება, რა ხერხებს მიმართავს ეკლესია და ამ შემთხვევაში კონკრეტულად გრიგორ ხანძთელი ცოდვასთან საბრძოლველად. პირველი, რაც უნდა აღვნიშნოთ, არის ის, რომ წმინდა მამა გვევლინება ცოდვის ტყვეობიდან *მხსნელად. „ღირსი იოანე სინელი თავის ცნობილ „სათნოებათა კიბეში“ საგანგებოდ გვესაუბრება სიძვის ცოდვის შესახებ და გვაფრთხილებს, რომ თუ მის მორევში აღმოვჩნდებით, აუცილებელია სულიერი მოძღვარი ან გულმოდგინე ძმა, რომელიც დახმარებას იჩქარებს , გონებით ბრძენია, რადგან დიდად მეეჭვება, რომ ვინმემ თავის ხომალდის მორევიდან გამოყვანა საკუთარი ძალებით შეძლოს.“ [მეტრეველი;.2018.:202).* იოანე სინელის პრინციპის დაცვით მოქმედებს გრიგოლ ხანძთელი, ის არ განიკითხავს ცოდვილებს, გადადის მოქმედებაზე და ეს მოქმედება არის-მხილება.

3.4 ქალის როლისა და მნიშვნელობის განმსაზღვრა „სიძვის დიაცის“ მაგალითზე

საჭიროა ფაქტობრივი მასალის მოხმობა ტექსტიდან და ისტორიული წყაროებიდან, რათა სრული წარმოდგენა შეგვექმნას არსებულ სიტუაციაზე. აშოტ I კურაპალატი იყო

ქართლის მეფე (809-813), ტაო-კლარჯეთის მეფე კურაპალატის წოდებით (პ.ინგოროყვას ცნობით, რომელიც გიორგი მერჩულეს ტექსტს ეფუძნება, აგრეთვე ოპიზის საოსტიგნეს წარწერით, სწორედ აშოტ კურაპალატმა აღადგინა ქართლში მეფობა). აშოტს ჰყავდა კანონიერი მეუღლე-დედოფალი. ისტორიული ცნობის მიხედვით, რომელიც მხატვრულად გარდაქმნა ჯერ გიორგი მერჩულემ და შემდგომ არაერთი ლიტერატურული ნაწარმოების სიუჟეტად იქცა, მეფეს უყვარდა სამეფო კარის მეჭურჭლე ქალი, მისი სახელი „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ ტექსტის ლიტერატურული გავლენის გამო „სიძვის დიაცად“ შემორჩა. *„გიორგი მერჩულე არ გვეუბნება მეფის გულის დამმონებლის, სიძვის დიაცის სახელს, უსახელო, უხსენებელი გახდა ხელმწიფის სიყვარულის მსხვერპლი და საუკუნეებს გადაეცა მისი ზნეობისა და ღირსების აპოლოგია-დედაკაცი სიძვისაი“ [მეტრეველი;2018:203].*

სიყვარულის ისტორია ტრაგიკულია, რაც არაერთმა ფაქტორმა განაპირობა. პირველი რიგში, როგორც მრავალჯერ ითქვა, აშოტისა და ქალის ურთიერთობა სიძვის ცოდვად მოიაზრება, ის არღვევს შუა საუკუნეების ქრისტიანულ მორალურ-ეთიკურ ნორმებს, ეწინააღმდეგება რელიგიას. იმასთან დაკავშირებით, თუ რატომ დაერქვა ქალს „სიძვის დიაცი,“ რამდენიმე კუთხით შეგვიძლია მსჯელობა . აშოტ კურაპალატი მეფეა და ცოდვის საკითხი ამ შემთხვევაში უფრო კრიტიკულად განიხილება. გრიგოლ ხანძთელის მხრიდან უფრო მეტ პასუხისმგებლობასა და დიპლომატიას ითხოვს სიტუაციაში ჩარევა. მეფეს ჰყავს კანონიერი მეუღლე, ჯვრისწერა შვიდ საეკლესიო საიდუმლოებათაგან ერთ-ერთია, ამიტომ ჯვარდაწერილ ადამიანს მკაცრად ევალება ცოლქმრული სარეცელის სიწმინდის დაცვა. აშოტი და სიძვის დიაცი არ არიან ჯვარნაწერნი, ამიტომ, სხვა ფაქტორები რომც არ ყოფილიყო, მათი ურთიერთობა მაინც ცოდვად-მრუშობად ჩაითვლებოდა. ცოდვის სიმძიმე განაპირობებს წმინდა მამის ჩარევის აუცილებლობას. ტექსტის მიხედვით, გრიგოლმა აშოტ კურაპალი ამხილა ცოდვაში და მოუწოდა გაეშვა ქალი სასახლიდან. კურაპალატი შეჰპირდა, მაგრამ ვერ

შეძლო საყვარელი ქალის გაშვება. ამის შემდეგ მამა გრიგოლმა გადაწყვიტა არტანუჯში წასვლა, შეარჩია დრო, როცა აშოტი იქ არ იმყოფებოდა, ჩავიდა და თავისთან იხმო მეჭურჭლე ქალი.

ქალის მეჭურჭლეობას აქვს სიმბოლური გააზრება. როგორც ითქვა *„მრუშობის ცოდვა მომდინარეობს გემოთმოყვარეობის ცოდვიდან, შემთხვევითი არაა, რომ ცოდვაში ჩავარდნილი ქალი „მეჭურჭლეა“, მას სანოვაგეს სთხოვს ნეტარი გრიგოლი, სიძვა უკავშირდება საჭმელს, ანუ ხორციელ საზრდოს [მეტრეველი;2018:203]* იოანე სინელი სიმაძღრეს ცოდვის დედას უწოდებს.

გრიგოლ ხანძთელისათვის აშოტსა და ქალს შორის ჩადგომა გარდა იმისა, რომ რელიგიის, ქვეყნისა და ოჯახის სიწმინდის დაცვას გულისხმობს, ადამიანთა ცოდვისგან დახსნის მოტივიც აქვს, წმინდა მამა ცდოლობს მეფისა და ქალის სულების გადარჩენას.

სანამ უშუალოდ ქალი როლისა და ფუნქციის განხილვაზე გადვიდოდეთ, უნდა დავაზუსტოთ, თუ როგორი შეხედულებები არსებობდა ზოგადად ქალთან და მის სიყვარულთან დაკავშირებით ჯერ კიდევ ქრისტეს დაბადებამდე, რითაც კიდევ უფრო კარგად გამოიკვეთება აშოტ კურაპალატის უძლურება და ინდივიდუალური განცდების გამოხატვის შეუძლებლობა მოცემულ გარემოში. მრავლისმთქმელი და ემოციურია ძველი მესოპოტამიური ფირფიტის წარწერა: *„ნუ შეიყვარებ, მეფეო ჩემო, ნუ შეიყვარებ! ქალი ესაა ხათანგი მონადირისა, ღრმა ორმო და თხრილი. ქალი-ესაა ალესილი რკინის ხანჯალი, გადამკვეთელი კაცის ყელისა, ნუ შეიყვარებ, მეფეო, ნუ!“* [ლიტ.მცოდნეობის ინსტიტუტის გზამკვლევი; 2018:205]. აქედანაც ჩანს რა რთულია მჰოყვე ქალის თავგადასავალი, მისი განვლილი გზა XXI საუკუნემდე, ევოლუცია, რეალიზება, აღიარება, ფეხქვეშ გათელა, სიყვარული, ვნება, ძალა და გავლენა. მითუმეტეს, რომ ადამიანების ცნობიერება სტერეოტიპით გამყარებულია, პირველი ქალის ცოდვის „მადლით“. რომელი საწყისი სჭარბობს ქალში, ღვთიური თუ ღვთის ნების წინააღმდეგ წამსვლელი, მეამბოხე, ან იქნებ ორივე თანაბრადაა?! თემაში

ეტაპობრივად განვიხილავთ როგორი დამოკიდებულება, რა სტერეოტიპები არსებობდა ქალის მიმართ საზოგადოების მხრიდან, რა იყო ქალის რეალიზების არეალი, რამდენად ჰქონდა მას აზრისა და ქცევის გამოხატვის თავისუფლება. შუა საუკუნეების უსახელო „სიძვის დიაცი“ ამ კუთხით უკვე ბევრის მთქმელია. ის, რომ „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ მკითხველმა არ იცის „სიძვის დიაცის“ სახელი და ეს ჩვენთვის ყურადღებაგასამახვილებელი ფაქტია, პირდაპირ მეტყველებს იმაზე, რა როლი აქვს ქალს კონკრეტუკლ სიტუაციაში. ვფიქრობთ, შემთხვევითი არ არის, რომ გიორგი მერჩულემ არ გაგვიმხილა პერსონაჟის სახელი, ავტორის არაპირდაპირ მიზანს ძალიან კარგად ესადაგება ამ პერსონაჟის იდენტობის არარსებობა, შეიძლება ვთქვათ, რომ არანაირი მნიშვნელობა არ ენიჭება იმას, თუ რას წარმოადგენს ეს პიროვნება. მისი პიროვნული მახასიათებლების ამოკითხვა ტექსტის სიღრმიდან შესაძლებელია, მაგრამ ამბის განვითარების სტრუქტურის შესაბამისად, მკითხველი ამის აუცილებლობას ვერ ხედავს. გიორგი მერჩულე მაინც გვაძლევს საშუალებას, გარკვეული წარმოდგენა შევიქმნათ ამ ადამიანზე, თუმცა შეიძლება ითქვას, ეს ავტორის მაღალმხატვრული უნარის შეფასების სტანდარტს უფრო აკმაყოფილებს, ვიდრე წარმოადგენს მის მიერ ნათლად დასახულ ამოცანას.

იმის არგუმენტად, რომ გიორგი მერჩულეს შემთხვევით არ დაუმალავს ჩვენთვის სიძვის დიაცის სახელი, შეგვიძლია დავასახელოთ ძალიან მარტივი რამ. ავტორი ჰაგიოგრაფიული ნაწარმოების შექმნისას ეყრდნობა ისტორიულ ფაქტებს, ეს ტექსტი, რეალურად ისტორიული ფაქტების მხატვრული ტრანსფორმაციაა, მიუხედავად ამისა, არ გვაქვს იმის საფუძველი, ვიფიქროთ, რომ გიორგი მერჩულემ სიძვის დიაცის სახელი იცოდა, თუმცა შეუძლებელია არ სცოდნოდა აშოტის მეუღლის, დედოფლის სახელი, რომელსაც ასევე არსად ახსენებს ტექსტში. ლოგიკურად შეგვიძლია მივიდეთ დასკვნამდე-რომც სცოდნოდა, სიძვის დიაცის სახელი, არ გაგვიმხელდა.

ცხადია, ახსნას არ საჭიროებს მეორე არგუმენტი, რომ ავტორს პერსონაჟისთვის შეეძლო დაერქმია გამოგონილი სახელი, მაგრამ ეს არ გააკეთა, ფაქტია, გიორგი მერჩულემ საჭიროდ არ ჩათალა კონკრეტული პერსონაჟის იდენტობის ხაზგასმა. ამ დასკნით ვუახლოვდებით ავტორის იმ ირიბ მიზანს, რომელიც ზემოთ აღვნიშნეთ. ერთი შეხედვით, უცნაურია შემოქმედმა არ გვითხრას პერსონაჟის სახელი, მაგრამ მისი პიროვნების შესახებ გარკვეული წარმოდგენის შექმნაში დაგვეხმაროს. აქ შეიძლება გავიხსენოთ ჰომეროსის მშვენიერი ელენე, რომლის სახელიც ვიცით და გვაქვს ინფორმაცია, რომ ენითაღუწერელი სილამაზის იყო, თუმცა, ჰომეროსი არ გვაქცევს თავისი სილამაზის აღქმის ჩარჩოებში, არ აღვიწერს ქალის მშვენიერებას, მთლიანად მკითხველის წარმოსახვასა და ინპროვიზაციას მიანდობს ამ რთულ და სასიამოვნო საქმეს. ავტორი არ ქმნის ხატს, მას ქმნის მკითხველი საკუთარ წარმოსახვაში, რაც ლიტერატურის ესთეტიკით ტკბობის ძალიან მნიშვნელოვანი ხელშემწყობია. დაახლოებით იგივე შეიძლება ითქვას რუსთავლის ქალ პერსონაჟებზე. ცხადია, მასშტაბურობითა და მნიშვნელობით ვერ შევადარებთ ჰომეროსისა და რუსთაველის აღნიშნულ პერსონაჟებს „სიძვის დიაცს“, თუმცა, ჩვენი აზრით, გიორგი მერჩულეც სწორედ ამ მხატვრულ ხერხს მიმართავს, გვაწვდის გარკვეულ ინფორმაციას ქალის შესახებ, მაგრამ იდენტობის აღმნიშვნელ უპირველეს წყაროს-სახელს საიდუმლოდ ტოვებს. ცხადია, ეს მხოლოდ მინიშნებაა ავტორის მხრიდან, რომ რაღაცას მკითხველს უტოვებს ამოსახსნელად, თორემ რეალურად არანაირი მნიშვნელობა არ აქვს რა ერქვა ამ ქალს.

გიორგი მერჩულეს მიერ ჩადებული კოდის, ანუ ამ ეპიზოდის არაპირდაპირი მიზნის ამოხსნას ჩვენი თემის ინტერესებს ვარგებთ, ავტორმა მნიშვნელოვანის უმნიშვნელოდ ქცევით ბიძგი მოგვცა გვეფიქრა და წინ წამოგვეწია საკითხი, თუ რატომ დაკნინდა ქალი შუა საუკუნეებში იმდენად, რომ ეს გმირი ნაწარმოების ტრადიციულ გააზრებაში, შეიძლება ითქვას, ვერც აკმაყოფილებს მეორეხარისხოვანი პერსონაჟის

კრიტერიუმსაც კი, ვერ ქმნის სრულად ვერც ხასიათს და მითუმეტეს ვერც ლიტერატურულ ტიპს.

აქ საჭიროა ვიმსჯელოთ „სიძვის დიაცის," როგორც ლიტერატურული პერსონაჟს რაობის საკითხზე და ამის საშუალებით წარმოვადგინოთ ზოგადად, ქალი პერსონაჟის განვითარების გზა მეათე საუკუნიდან დღემდე. *„პერსონაჟი იგივეა, რაც ლიტერატურული გმირი, მოქმედი პირი; ტერმინს ლიტერატურათმცოდნეობაში ორნაირი გაგება აქვს: 1. პირი, რომლის სახე იხსნება მოქმედებაში და არა აღწერაში. 2. ნებისმიერი მოქმედი პირი, მოქმედების სუბიექტი." [რ.ჭილაია, ა.ჭილაია;1884:.* ამ განმარტებების მიხედვით, სადავოა, რამდენად შეგვიძლია მივიჩნიოთ მერჩულეს" სიძვის დიაცი" ლიტერატურულ პერსონაჟად, რადგან, როგორც აღინიშნა, მისი მოქმედება იმდენად მცირეა, რომ მკითხველს უჭირს მისი სახის აღქმა, ის არ არის პასუხისმგებელი საკუთარ ქმედებებზე, აქ არსად ჩანს მისი ნება. ტექსტის მიხედვით, ძნელია იმის აღქმა, თუ როგორია ქალის სახე. უნდა აღინიშნოს, რომ „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება" პირველი ქართული ნაწარმოებია, შეიძლება მივიჩნიოთ, რომ „სიძვის დიაცის" ხასიათი ჩანასახია, საიდანაც იწყება ქალი პერსონაჟის ხასიათის კონტურების მოხაზვა ქართულ ლიტერატურაში(საუბრობენ იმის შესახებ, რომ ქალი პერსონაჟის ხასიათი „შიშანიკის წამებაში" კარგად ჩანს. ჩვენ ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ ყურადღებას ვამახვილებთ არა წმინდანი ქალის, არამედ საერო ქალის მაგალითზე).

ყოველ პერსონაჟს აქვს ხასიათი, რაც გულისხმობს იმ ნიშან-თვისებათა ერთობლიობას, რომლითაც მჟღავნდება გმირის ინდივიდუალურობა საზოგადოებაში, სხვა ადამიანებთან ურთიერთობაში. ჩვენი მიზანია, გამოვკვეთოთ, თუ როგორ განვითარდა პერსონაჟის ხასიათი სხვადასხვა პერიოდის ლიტერატურულ ტექსტებში. შეიძლება მივიჩნიოთ, რომ „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება" პირველი ტექსტია, სადაც ჩნდება ქალის, როგორც პერსონაჟის ხასითის ჩანასახი (ვგულისხმობთ საერო

პირს).ტრადიციული განმარტების მიხედვით, ეს გმირი ლიტერატურული ხასიათის მხოლოდ რამდენიმე პუნქტს აკმაყოფილებს, ზედაპირულ დონეზე ვხედავთ პერსონაჟის განწყობილებას, ქცევა-მოქმედების მოტივებს, კიდევ უფრო ნაკლებად იკვეთება იდეური მისწრაფებები. იმის გათვალისწინებით, რომ პერსონაჟის *„ხასიათი უნდა შეიცავდეს მწერლისეულ ცოდნას, შეფასებას, სახეობრივ წარმოდგენას ცხოვრებისეულ შესაძლებლობათა შესახებ“[ა.ჭილაია, რ.ჭილაია;1984:352]*, ვფიქრობთ, რომ სწორედ ამ პერიოდის სოციალურ-კულტურულმა ვითარებამ, საზოგადოებრივი ცხოვრების მდინარებამ განსაზღვრა საერო ქალის ტექსტში ამ სახით გაჩენა. ყურადღებას არ ვამახვილებთ იმაზე, თუ რა დამოკიდებულება მჟღავნდება ქალის მიმართ, ამაზე შემდგომ ვრცლად ვისაუბრებთ, მხოლოდ იმას ვუსვამთ ხაზს, რომ მეათე საუკუნეში პირველად ჩნდება საერო ქალი პერსონაჟის ჩანასახი.

ეტაპობრივად, ტექსტების განხილვის კვალდაკვალ განვითარედება ჩვენი მსჯელობა იმის შესახებ, თუ როგორ ჩამოყალიბდა ქალი პერსონაჟის ხასიათი ლიტერატურულ ტექსტებში. იქამდე კი ვუბრუნდებით იმის ანალიზს, თუ როგორ წარმოჩინდა ქალი „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში.“

აშოტ კურაპალატისა და „სიძვის დიაცის“ ეპიზოდის ჩართვით, ჰაგიოგრაფმა ავტორმა, შეიძლება ითქვას, დასაბამი დაუდო ლიტერატურული აზროვნების იმ მიმართულებას, რომელიც ორიენტირებულია არა მხოლოდ ტექსტის კითხვაზე, არამედ ქვეტექსტების ამოკითხვაზე. ცხადია, აქ არ იგულისხმება სიმბოლურ-ალეგორიული გააზრება, რადგან ქრისტიანობაზე, ბიბლიურ ცოდნაზე დაფუძნებული ლიტერატურა, ამ მიმართულებით ჩვენამდე მოღწეული პირველი ტექსტითაც მდიდარი იყო. ვგულისხმობთ იმ ფარულ კოდებს, რაც ეხება არა სასულიერო, არამედ საერო ცხოვრებას. პირველი დიდი მინიშნება სწორედ ის ფაქტია, რომ ასეთი პასაჟები არსებობს მეათე საუკუნის ჰაგიოგრაფიულ ტექსტში.

ბუნებრივია, უნდა ვისაუბროთ იმაზეც თუ რა გვიქმნის წარმოდგენებს „სიძვის დიაციზე.“ ამ შემთხვევაშიც ვერ ვუვლით გვერდს ეპოქის გავლენას. ნათელია, ქალი განიხილება უფალთან მიმართებით, კონკრეტულად, გრიგოლ ხანძთელთან ურთიერთობისა და დამოკიდებულების კუთხით, ესაა მიმართულება, რის საშუალებასაც გვაძლევს შუა საუკუნეების ჰაგიოგრაფიული ტექსტი ფაქტობრივ დონეზე.

განხილვა უნდა დავიწყოთ იმის აღნიშვნით, რომ ჩვენ არ გვაქვს ინფორმაცია თუ რატომ უყვარდა აშოტ კურაპალატს ეს ქალი და ამ კითხვაზე პასუხს ჰაგიოგრაფიაში არც ვეძებთ. ვერ გავუსწრებთ მსჯელობას, თუმცა შეგვიძლია ვთქვათ, რომ ვ.ბარნოვის „ტრფობა წამებულში“, სადაც მწერლის იდეურ დონეზე მოხსნილია ეკლესიის გავლენის ჩარჩოები, ძალიან ნათლად მჟღავნდება პიროვნებათა ინტიმური დამოკიდებულებები. გიორგი მერჩულე არაფერს გვიხსნის, გვეუბნება ფაქტს, რომ მეფეს ჰქონდა არაკანონიერი ურთიერთობა მეჭურჭლე ქალთან. ორ რამეს ეფუძნება ჩვენი დასკვა იმის შესახებ, რომ მეფეს ეს ქალი უყვარდა, პირველი, თავად ქალის სიტყვებია, რომელსაც წმინდა მამას ეუბნება: *“გარდარეული სიყვარული აქვს ჩემდა მომართ კურაპალატსა“ [მერჩულე;2007:76[.* და მეორე თავად აშოტის განწყობა-საკუთარი ნებით ვერ უშვებს ქალს და ყველაფერს აკეთებს მის უკან დასაბრუნებლად. აგრეთვე მრავლისმთქმელია აშოტ კურაპალატის სიტყვები, რომელიც სულისშემძვრელ სიბრალულს იწვევს მოკვდავი ადამიანის მიმართ: *„ნეტარ მას კაცსა, ვინც არღარა ცოცხალ არს!“[მერჩულე;2007:91].* მეფის მიერ ნათქვამ ამ სიტყვებს ორგვარი გააზრება შეიძლება ჰქონდეს, არსებობს მოსაზრება, რომ ამ სიტყვების წარმოთქმის საფუძველს მის მიერ გააზრებული ცოდვის სიმძიმე და სინანული წარმოადგენს, ამ სიტყვებით გვირგვინდება წმინდა მამა გრიგოლისა და დედა ფებრონიას ღვაწლი კონკრეტულ სიტუაციაში, აშოტი ხვდება საკუთარ შეცდომას და იმხელა სინანულშია, რომ სიცოცხლე აღარ უნდა. სხვაგვარი გაგებით, აშოტი განიცდის საყვარელი ქალის დაკარგვას და ამიტომ ნატრობს სიკვდილს. ორივე შეხედულება

შეიძლება იყოს მისაღები, თუმცა გააჩნია, რა კონტექსტში ვცდილობთ მეფის ქმედების გააზრებას. ჩვენი აზრით, მეფის მიერ წარმოთქული ფრაზის ემოციური სიმძლავრის გათვალისწინებით, ეს ის შემთხვევაა, როცა პირველი შეხედულება მეორეს არ გამორიცხავს, მიგვაჩნია, რომ აშოტის ამგვარი სიტყვების წარმოთქმას განაპირობებს მის მიერ გაცნობიერებული ცოდვის სიმძიმე, რომელთან შეწინააღმდეგების ძალასაც ვერ პოულობს საკუთარ თავში, რადგან უსაზღვროდ უყვარს ქალი. თუ გავითვალისწონებთ მეფის გარემოცვას, იმ პერიოდის რელიგიურ და პოლიტიკურ ურთიერთკავშირს, შეუძლებელია ვიფიქროთ, აშოტი ვერ ხვდებოდა, რომ სცოდავდა, სანამ არ ამხელდნენ. აშოტმაც იცის, უნდა სცოდნოდა „სიძვის დიაცსაც“ და ამას ამჟღავნებს კიდეც ქალი, თუმცა არა საკუთარი ინიციატივით, მას უბიძგებს გრიგოლ ხანძთელი იმისკენ, რომ წარმოსთქვას სიტყვები: *“ მე თავსა ჩემსა ზედა ვერ თავისუფალ ვარ [...] და აწ არაი უწყი თუ რაი ვყო, რამეთუ ბრძანებამან სიტყვათა შენთამან შემაძრწუნა ფრიად“[მერჩულე;2007:76].* ქალი და აშოტი ამ კუთხით სრულიად ერთნაირ პოზიციას ავლენენ, ორივემ იცის, რომ სცოდავს, მაგრამ ფაქტის დამალვას იმდენად არ ცდილობენ, რამდენადაც იმის, რომ გააზრებული აქვთ საკუთარი ქმედების არსი, გაცნობიერებულად იქცევიან ასე, მაგრამ წინააღმდეგობას ვერ უწევენ სურვილს. აშოტის ეს პოზიცია ნათელია, ქალის შემთხვევაში კი პოზიციის ბუნდოვანება აშკარაა. ყურადღებას იპყრობს მისი უეცარი ტრანფორმაცია მხილების შემდეგ. ქალი *„განმხიარულებული მსწრაფლ მოვიდა წმიდისა მის...“[მერჩულე;2007:75].* ნუთუ არ გაუჩნდა სიძვის დიაცს კითხვა რა შეიძლებოდა ყოფილიყო გრიგოლის მოხმობის მიზეზი?! წმინდა მამის მიერ წარმოთქმული მხოლოდ ერთი წინადადება გახდა ქალის აღიარებისა და მორჩილების გამოცხადების საფუძველი: *„ჰოი საწყალობელო! რაისათვის შორის ცოლ-ქმართა შორის შთაჭრილ ხარ წარსაწყედელად შენდა საუკუნოდ ბოროტითა მის ცოდვითა, რომლითა დამონებულ ხარ ეშმაკისადა და ცუდითა რაითმე მიზეზითა საფრთხე ქმნულ ხარ დიდისა*

ხელმწიფისად?"[მერჩულე;2007:76] . ცხადია, აქ საუბარი ზედმეტია იმაზე, რომ ქალს სიტყვა შეებრუნებინა მამა გრიგოლისათვის, რაიმე ეკითხა ან ახსნა-განმარტება მოეთხოვა, თუ რას გულისხმობდა იგი, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ არანაირი განმარტება არ იყო საჭირო. ფაქტების მოხმობით ვმსჯელობთ ქალის პიროვნების შესახებ, რისი საშუალებაც გიორგი მერჩულემ შეფარვით მოგვცა, უნდა აღვნიშნოთ, რომ ქალი ჭკვიანია, მარტივად პოულობს გამოსავალს და სრულიად ცვლის წმინდა მამა გრიგოლის, ყველაზე ჰუმანური რელიგიის გამტარებლის განწობას მის მიმართ. გრიგოლ ხანძთელის მკაცრი და კატეგორიული ტონი მომენატლურად იცვლება, ის იმსჭვალება სიყვარულით, სიბრალულითა და თანაგრძნობით. სიძვის დიაცი აშოტზე სწაფად და მარტივად ხვდება, რომ ამ ურთიერთობას არ აქვს მომავალი, არ ცდილობს წინააღმდეგობის გაწევას, სრულ მორჩილებაშია, მანამდე არსებულს კი ასე ასაბუთებს: *„მე თავსა ჩემსა ზედა ვერ თავისუფალ ვარ..." [მერჩულე;2007:76]* აქ უკვე გადამწყვეტი მნიშვნელობა აღარ ენიჭება ამ სიტყვების სიმართლეს, ანუ ქალი იძულებით ურთიერთობაშია მეფესთან თუ ნებაყოფლობით, მაგრამ რეალისტურად რომ შევხედოთ სურათს და ჩამოვაშოროთ ყოველგვარი ცოდვა-მადლის გააზრების კონტექსტი, თუ აშოტს მართლა ისე ძლიერად უყვარდა ქალი, რომ დაკარგა მეფის სახე, დაივიწყა ათი მცნება, ყურადღება არ მიაქცია არანაირ გარემოებას, თეორიულად შეუძლებელი იქნებოდა მისი წრფელი გრძნობები „პლატონური სიყვარული" ყოფილიყო, რეალისტურად ძნელი დასაშვებია, ქვეყნის მმართველი, ზრდასრული მამაკაცი იმდენად რომანტიკული სულის მატარებელად წარმოვიდგინოთ, რომ ქალის თანაგანცდის გარეშე განვიხილოთ მისი საქციელი. მიუხედავად ამისა, სიძვის დიაცის სიტყვები მაინც ფაქტად რჩება.

ცხადია, ქალის როლისა და მნიშვნელობის გასააზრებლად, ჩვენ არ გვჭირდება იმაზე ფიქრი, მან მოიტყუა, თუ სიმართლე თქვა წმინდა მამის წინაშე, ამის აღნიშვნა მხოლოდ იმაში გვეხმარება, რომ გავიაზროთ, შუა საუკუნებშიც ისეთივე შეიძლებოდა ყოფილიყო

ეს ადამიანი, როგორიც ბარნოვის ტექსტში გვხვდება, რითაც ხაზს ვუსვამთ სწორედ იმ კონტრასტს, რომ მიუხედავად ერთი და იგივე პიროვნებისა, სრულიად სხვადასხვა სახის ლიტერატურულ გმირთან გვაქვს საქმე „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ და სხვაა „ტრფობა წამებულში“. ჩვენთვის ამოსავალი წერტილი, ქალის როლისა და მნიშვნელობის გააზრებაშიც არის ის, თუ რატომაა სხვადასხვაგვარი ის სხვადასხვა ეპოქებში და არა ის თუ როგორი პიროვნება იყო ეს ქალი. აქ უფრო მეტად ყურადღებას ვაქცევთ მიზეზს, რატომ მოიტყუა, ან რატომ თქვა სიმართლე და არა იმას, მოიტყუა თუ სიმართლე თქვა.

ქალის საზოგადოებრივი აღიარების სურათის სიცხადისთის, უკეთეს მაგალითად მივიჩნიეთ ერთი და იგივე პიროვნების სხვადასხვა ეპოქაში ლიტერატურულ პერსონაჟად გარდასახვის ჩვენება. ამ შემთხვევაში ნათელია, რა ახდენს გავლენას ადამიანის პიროვნების ცვლილებაზე, რატომ ხდება, რომ პიროვნება სხვადასხვა გარემოებებში სხვადასხვაგვარად რეალიზდება?!

ჩვენ უკვე განვიხილეთ შუა საუკუნეების ადამინის პიროვნული საწყისის რაობა, აღვნიშნეთ, რომ მთავარი ორიენტირი კულტის მიბაძვაზეა მორგებული, ყოველი ადამინის ეთიკურობას საწყისად უნდა ედოს მიბაძვა, პირველ რიგში უფლის და შემდეგ წმინდანის. ესაა ადამიანიების ქცევის შეფასების ის სქემა, რომლის მიხედვითაც, როგორც „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებიდანაც“ ჩანს, ხელმძღვანელობენ წმინდა მამები. მამა გრიგოლი დაუყოვნებლივ იღებს ზომებს, როცა აშკარავდება ჭეშმარიტი გზიდან გადახვევის მცდელობა მეფის მხრიდან. აქ არ ენიჭება მნიშვნელობა ქცევის მიზეზს, არავინ ინტერესდება იმით, თუ რატომ სჩადის მეფე ამხელა ცოდვას. ბუნებრივია, ნაწარმოების ყოველი მკითხველი, ამ ეპიზოდის კითხვისას ჩაფიქრდება მეფის პოზიციაზე, ზოგი გაამტყუნებს, ზოგი უთანაგრძნობს, მაგრამ არავინ განიხილავს „სიძვის დიაცის“ მდგომარეობას. ქალს უკვე მრუშობის დაღი აქვს დასმული, რაც განხილვას აღარ ექვემდებარება, მიუხედავად იმისა, რომ ეს ქალი აშოტზე ადრე

გამოთქვამს მორჩილებას. მკითველს თანაგრძნობის განცდაც მხოლოდ მეფის მიმართ უჩნდება, რადგან ავტორი მის სულიერ ტკივილს გვაჩვენებს, ქალის განცდები კი აქ უმნიშვნელოა. სწორედ ამგვარი დამოკიდებულება უსვამს ხაზს, თუ რამდენად დაკნინებულია ქალი როლი და მნიშვნელობა.

„ეშმაკი ტრფიალებისაი ფრიად აზრზენდა“-[მერჩულე;2007:74] ასე განმარტავს გიორგი მერჩულე აშოტის თავს დამტყდარ განსაცდელს. წინადადება გრამატიკულად რომ გავიაზროთ, აშოტ კურაპალატი ამ შემთხვევაში არა ქვემდებარე, არამედ დამატებაა, ეს იმას ნიშნავს, რომ მეფე თავად კი არ სჩადის ქმედებას, არამედ განცდის ობიექტია, მასზე მოქმედებენ და ამიტომ იქცევა ცოდვილ სუბიექტად, *„ ძლეულ იქმნა ბოროტითა მით ცოდვითა...“ [მერჩულე;2007:74]* ამგვარად ფორმულირებული წინადადებები შემთხვევითი არ არის მეათე საუკუნის ტექსტისთვის, აქ კარგად უნდა გვესმოდეს, რომ ენა ყველაზე უკეთ ასახავს ეპოქალურ აზროვნებას. წინადადების ამ სტრუქურაში ძალიან კარგად ჩანს მეათე საუკუნის ქრისტიანული მსოფლმხედველობის არსი: ადამიანის ინდივიდუალური განცდები, იმდენად უმნიშვნელოა, რომ მისი ქმედება საკუთარი გადაწყვეტილების ნაყოფადაც არ მოიაზრება, მას ან ღმერთი ამოქმედებს, ან ეშმაკი.

„სიძვის დიაცი“ აშოტზე ბევრად დაკნინებულია ცოდვის გააზრების კონტექსტშიც კი, ის მხოლოდ ეშმაკის იარაღია, რომლის საშუალებითაც მოქმედებს მეფეზე. ამიტომაცაა, რომ ქალის პოზიცია ძალიან სწრაფად და მარტივად მუღავნდება ტექსტში, და ასევე სწრაფად იცვლება, არანაირი განვითარება და ლოგიკური თანმიმდევრობა არ ჩანს ამ მხრივ. მორჩილება ყველაზე ლოგიკური გამოსავალია, ამ სიტუაციაში, სხვა შემთხვევაში ქალი მნიშვნელობას შეიძენდა, რაც სრულიად არაბუნებრივად გამოჩნდებოდა მეათე საუკუნის სოციალურ-კულტურული თვალთახედვით.

ჩვენი მსჯელობა “სიძვის დიაცის შესახებ” ორი პარალელური ხაზით ვითარდება და იმისთვის, რომ ერთმანეთისგან გავმიჯნოთ, უნდა დავაკონკრეტოთ, ერთ შემთხვევაში

ვსაუბრობთ სიძვის დიაცზე, როგორც ტექსტში არშემდგარ პერსონაჟზე და მეორე-სიძვის დიაცი იმ სახით, რა სახითაც ავტორმა და ეპოქამ გამოავლინა ლიტერატურულ ნაწარმოებში.

ქალის უმნიშვნელობის განსაზღვრა მისივე სიტყვების მიხედვით უნდა დავიწყოთ, როცა ამბობს: *"მე თავსა ჩემსა ზედა ვერ თავისუფალ ვარ..." [მერჩულე;2007:76]* ქალი აღნიშნავს, რომ ეს საქციელი მეფის ნების მორჩილებითაა გამოწვეული, მხოლოდ ეს წარმოადგენს მისი ქმედების საფუძველს. ჩვენ ვისაუბრეთ იმასთან დაკავშირებით, რომ ქალი შესაძლოა ტყუოდეს, მაგრამ უნდა დავაზუსტოთ, ეს არ ნიშნავს, რომ ქალს სხვა რამის თქმის უფლება ჰქონდა. ორი მორჩილებიდან ირჩევს იმის მორჩილებას, ვინც უფრო ძლიერია. ქალი რომ ჭკვიანია ამ გადაწყვეტილებიდან კარგად ჩანს, ჭკვიანია, მაგრამ უუფლებო.... *"წმინდა მამაო ხელთა შენთა ვარ, უმჯობესი სულისა ჩემისაი იზრუნე"[მერჩულე;2007:76].*

აშოტისა და სიძვის დიაცის ეპიზოდის თანმიმდევრულად განვიხილვისას, შევნიშნავთ, რომ სიძვის დიაცის პერსონაჟი სულ სამი წინადადების თქმით შემოიფარგლება, პირველში მეფის მორჩილებას გამოთქვამს, მეორეში წმინდა მამის და მესამეში უფლის-*„ქრისტემან კეთილად იზრუნოს მხევლისა მისისათვის"[მერჩულე;2007:77].* მხოლოდ ამის ხაზგასმითაა ნათელი რამდენად უმნიშვნელოა ქალი, რომ აღარაფერი ვთქვათ მის უუფლებობაზე. იქმენება შთაბეჭდილება, რომ ეს ჭეშმარიტება თავად ქალმაც ძალიან კარგად იცის, იცის ავტორმაც...

ლიტერატურული ნაწარმოები, ძალიან ზოგადად რომ აღვნიშნოთ, ყოველთვის ასახავს ეპოქის სოციო-კულტურულ ვითარებას, მსოფლმხედველობას, ღირებულებებს. ნებისმიერ მხატვრულ ტექსტში ვლინდება ეპოქის თავისებურებები. რა როლი აქვს ნაწარმოების ავტორს ამ მიმართულებით?! ცხადია, ვერასად გავექცვით სუბიექტურობას, ავტორი ინდივიდია, რომლის აღქმის არეალშიც ყალიბდება მხატვრული პროდუქტი. გააზრება, წარმოსახვა, წარმოდგენა, თუ რაიმე საგნისა და

მოვლენისთვის მნიშვნელობის მინიჭება, ავტორის სუბიექტურ დამოკიდებულებებს ემყარება, თუმცა საგულისხმოა, საიდან ჩნდება ეს დამოკიდებულებები. რამდენად სანდოა ავტორი როცა მისი ნაწარმოების საფუძველზე ამა თუ იმ ეპოქის თავისებურებებს მიმოვიხილავთ და ამის საშუალებით ვცდილობთ პერსონაჟის ქცევის მოტივის განსაზღვრას, ანუ სიძვის დიაცის მორჩილების აღმნიშვნელი სამი წინადადება ეპოქის გამოძახილია, თუ გიორგი მერჩულეს სუბიექტური დამოკიდებულებით ტრანსფორმირებული, სტერეოტიპად ქცეული შეხედულება?! რა რაზე მოქმედებს ამ შემთხვევაში-ეპოქა ავტორზე, თუ ავტორი ეპოქაზე?! რამდენიმე წინადადებით უნდა შევეხოთ ამ საკითხსაც, რათა დავასაბუთოთ, რატომ გამოგვაქვს დასკვნები ეპოქალური საკითხის განხილვისას, ლიტერატურულ ტექსტზე დაყრდნობით.

ყოველი ეპოქა განსაკუთრებული ლიტერატურული ტენდენციებით გამოირჩევა, რთულია იმაზე საუბარი, სად არის მიჯნა მათ შორის, როდის მთავრდება ერთი და როდის იწყება მეორე, თუმცა განსხვავებები აკარაა. განმასხვავებელი ფაქტორი ბევრია, მაგრამ ერთ-ერთ მთავრად მათ შორის უნდა მივიჩნიოთ საზოგადოების აზროვნების გავითარების შეუქცევადი პროცესი. უნდა ითქვას, რომ ცვლილება აუცილებლად პროგრესს არ გულისხმობს, ყოველივე კი უამრავ გარეფაქტორზეა დამოკიდებული.

ეპოქის ცვლილების პირდაპირპროპორციულად იცვლება ხელოვნება და მისი ტენდენციები. ვინაიდან ხელოვნება რეალობის ერთგვარი ბაძვაა, ბუნებრივია, შემოქმედი ასახავს იმას, რაც მის გარშემო ხდება, რაც არის აქტუალური და მნიშვნელოვანი. ხშირ შემთხვევაში, ლიტერატურა ბევრად უკეთეს წარმოდგენას გვიქმნის ამა თუ იმ ეპოქის შესახებ, ვიდრე ისტორია, რადგან მასში ნათლად ჩანს არა ფაქტები, არამედ სწორედ ის ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი ეპოქის ცვლილებისა-საზოგადოებრივი აზრის განვითარების ისტორია და ამასთანავე გაბატონებული

ტენდენციები, აქტუალური, პრობლემატური საკითხები, რაც თან ახლავს ცხოვრებას კაცობრიობის განვითარების ისტორიის ნებისმიერ საფეხურზე.

ყოველი ადამიანი თეორიულად საზოგადოების ნაწილია, რა თქმა უნდა, ხელოვანიც. ხელოვნება, შეიძლება ითქვას, ამოზრდილია სოციალური ფესვებიდან, (მაშინაც კი სოციუმი განსაზღვრავს მას, როცა მიმდინარეობა ნაკლებ კოლექტიური და მეტად ინდივიდზე მორგებულია, ამ ეპოქაში სწორედ ამგვარ ტენდენციებს ამჟღავნებს კოლექტიური ცნობიერება), აქედან გამომდინარე, ავტორი ეკუთვნის საზოგადოებას, საზოგადოება აყალიბებს ავტორს-ეს ორმხრივი ინტერაქციაა. ამიტომ პასუხი კითხვაზე ავტორი ქმნის ტენდენციებს საკუთარი შემოქმედებით, თუ საზოგადოება აწვდის მას იდეებს, ცალსახა არ არის, ეს განმავითარებელი უკუკავშირია. ავტორი საზოგადოების წიაღშია, მას ესმის ეპოქის ხმა, გრძნობს მის სურვილებსა და მოთხოვნებს ჯერ კიდევ მანამ, სანამ ის სოციუმში მომწიფდება.

ეპოქას ქმნის საზოგადოება, უფრო ზუსტად კი ისეთი საზოგადოება, რომელსაც აქვს ცვლილების აუცილებლობისა და მისთვის მზაობის წინასწარ განსაზღვრის უნარი. ამ საზოგადოებაში, თავისთავად იგულისხმებიან მწერლებიც.

მიგვაჩნია, რომ გიორგი მერჩულეს მიერ გამჟღავნებული ტენდენციები, ამ შემთხვევაში, კონკრეტულად, „სიძვის დიაცის“ მიმართ, არა განყენებულად მისი სუბიექტური დამოკიდებულების, არამედ მეათე საუკუნის საზოგადოებრივი აზრის განვითარების გამოხატულებაა. ავტორი გადმოგვცემს იმას, რაც ხდებოდა მის ეპოქაში, თუ როგორი დამოკიდებულება ჰქონდათ მაშინ ქალის მიმართ, რა უფლებებით სარგებლობდნენ ქალები და რას ნიშნავდა სიძვის დიაცი?! უნაკასკნელზე ვამახვილებთ ყურადღებას, რადგან, როგორც თეორიულ წანამძღვრებში ვისაუბრეთ, მეათე საუკუნის შემდეგ ცოდვის მნიშვნელობის გააზრება მეტწილად შეცვლილია, ის, რაც ცოდვად ითვლებოდა შუა საუკუნეებში, დღეს შეიძლება მსუბუქ კრიტიკასაც არ იმსახურებდეს საზოგადოების მხრიდან. განსაკუთრებით ეპოქაში, როცა ადამიანებმა ღმერთი

დაკარგეს და სრულიად ჩამოიშალა ეთიკური ნორმის განსაზღვრის ძველი სისტემა. ეპოქაში, სადაც ღმერთი მკვდარია.

სანამ მეოცე საუკუნის ეთიკური ნორმების მიხედვით განვიხილავდეთ იმას, თუ რამდენად შეინარჩუნა ამ ეპოქამ სიძვის მნიშვნელობა, ისე, როგორც „სიძვის დიაცის“ სტიგმაში აისახა იგი, დავუბრუნდეთ „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ ტექსტის განხილვას და დავასაბუთოთ, რატომ იყო ქალი მეათე საუკუნეში უუფლებო, უმნიშვნელო, არარეალიზებული და სტერეოტიპებში მოქცეული. ჩვენ არაერთხელ აღვნიშნეთ ამ პერიოდში ეკლესიისა და სასულიერო ცხოვრების უდიდესი გავლენა საერო ცხოვრებაზე, ფაქტობრივად, საერო საზოგადოებას ეკლესია მართავდა, ის განაგებდა მეფის ცხოვრებას, რაც აშკარაა და ადგენდა სტერეოტიპებს, რომელსაც უნდა მორგებოდა ნებისმიერი ადამიანი. ამ გადასახედიდან, ძალიან არაბუნებრივად შეიძლება ჩანდეს ეს ყველაფერი, რთულია არ გაგიჩნდეს პროტესტის განცდა, როცა აცნობიერებ, რომ შენი უფლებები იზღუდება და არ აქვს მნიშვნელობა ვინ აკეთებს ამას. თუმცა ადამიანის უფლებებზე რთულია საუბარი ათი საუკუნის შემდეგ. ჩვენ მხოლოდ ის წარმოდგენა შეგვიძლია გვქონდეს იმდროინდელ გარემოებაზე, რასაც ტექსტებიდან ვიგებთ, ფაქტი კი ისაა, რომ იმ პერიოდში ადამიანები უპირობოთ იღებდნენ იმ მოცემულობას, რასაც სთავაზობდნენ, განურჩევლად სტატუსისა და სქესისა.(არ იქნება სწორი, თუ მხოლოდ ქალის უუფლებობას აღვნიშნავთ, რადგან ვხედავთ, რომ მეფის პირად ცხოვრებასაც კი ეკლესია აკონტროლებს. მიუხედავად ამისა, სერიოზული განსხვავებებია სქესთა შორის დამოკიდებულებების თვალსაზრისით, თუმცა ეს საკითხი სცდება ჩვენი თემის მიზანს).

ნაწარმოებში მოვლენები ასე ვითარდება: ქალი წმინდა მამას მორჩილებას გამოუცხადებს და წაჰყვება ტაძარში დედა ფებრონიასთან. დაბრუნებული აშოტ კურაპალატი პირველ რიგში თავის საყვარელ ქალს მოიკითხავს და როცა სიმართლეს შეიტყობს მის სანახავად გაეშურება. *„და რამეთუ არა ღონითა რაითამე კაცობრივითა*

მახეთაითა იყო ტრფიალ მისა მიმართ ხელმწიფე იგი, არამმედ ეშმაკისა მანქანებითა ესოდენ ძლეულ იყო რომელ თავმოთნეობაი დაავიწყდა და მსწრაფლ ხოლო მოვიდა მერეს"[მერჩულე;2007:81].

მეფე კარგად ხვდება რაც მოხდა მისი არყოფნის დროს, ალბათ აცნობიერებს, აზრი არ აქვს მცდელობას, მაგრამ მისი გრძნობა იმდენად დიდია, რომ მაინც მიდის ამ მსხვერპლზე. რისთვის ჩავიდა აშოტი დედა ფებრონიასთან, თუ ეს ყოველივე გააზრებული ჰქონდა?! „ერთხელ ციხედ მოვიდეს და ყოველი მოგვითვალოს და კვალად თქვენადვე მოვიდეს, ვითარცა *უნდეს."[მერჩულე;2007:81]*-სასოწარკვეთილი კაცის ტყუილი, რომელსაც არ შესწევს წინააღმდეგობის გაწევის ძალა და გამოსავალს ვეღარ პოულობს. აშოტმა დაკარგა საყვარელი ქალი, ვხედავთ მის განცდებს. მაგრამ ავტორი აღარაფერს გვეუბნება ქალის მდგომარეობაზე, რითაც კიდევ ერთხელ ვრწმუნდებით, რომ სიძვის დიაცი, როგორც ინდივიდი არანაირი მნიშვნელობის მატარებელია არაა.

ვისაუბრეთ იმის შესახებ, რომ გიორგი მერჩულეს გარკვეული მიზნები ამოძრავებდა, როცა ეს პასაჟი ჩაურთო ჰაგიოგრაფიულ ტექსტს. მიუხედავად იმ მრავალმხრივი დადასტურებისა, რომ ქალი ამ პერიოდში სრულიად უუფლებო და უმნიშნელოა საზოგადოებრივი ცხოვრების კონტექსტში, ფაქტია, ამ პერიოდიდან გვაქვს საერო ქალი პერსონაჟის შექმნის მიზანმიმართული ან არამიზნობრივი მცდელობა, რასაც ყურადღების გარეშე ვერ დავტოვებთ. მიგვაჩნია, რომ ეს ლიტერატურული ტენდენცია შემთხვევითი არ არის და ეფუძნება, ალბათ, ძალიან მინიმალური სახის სოციალურ ცვლილებებს. როგორც უკვე ითქვა, სწორედ ამ პერიოდიდან იწყება ქალი პერსონაჟი კონსტრუირება, მისთვის ხასიათის მინიჭება.

4. „სიძვის დიაცის“ ტრანსფორმირებული სახე ვასილ ბარნოვის „ტრფობა წამებულში“

4.1 ვასილ ბარნოვის მსოფლმხედველობსა და შეხედულებების ზოგადი მიმოხილვა

„გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ ამ პასაჟის განხილვის შემდეგ საინტერესოა იმის ჩვენება, თუ როგორ შეიცვალა ქალის მიმართ დამოკიდებულება ათი საუკუნის შემდეგ, ამის საილუსტრაციოთ მივმართეთ ვასილ ბარნოვის ნაწარმოებს „ტრფობა წამებული.“

ვასილ ბარნოვმა რომანი „ტრფობა წამებული 1918წელს დაწერა. სიუჟეტი VIII-IXსაუკუნეში მომხდარ ამბავს მოგვითხრობს, რომანი ისტორიული ხასიათისაა, მასში მთავარი ხაზია მეფე აშოტ კურაპალატისა და მისი საყვარელი ქალის ურთიერთობა. რომანში ასახულია სიყვარულისა და საეკლესიო დოგმების, შესაბამისად, საერო და სასულიერო პირების დაპირისპირება. ბარნოვის შემოქმედებაში სიყვარულის კონცეფციის შუა საუკუნეებისგან სრულიად განსხვავებული მოდელი გვხვდება, რა თქმა უნდა, ამას ეპოქალური პერიპეტიები განაპირობებს, სოციო-კულტურული გარემოს ცვლილება, რაც, ცხადია, აისახა პიროვნების არსის გააზრებაზეც. როგორც აღინიშნა, მეოცე საუკუნეში ადამიანი გათავისუფლებულია დოგმატური რწმენის ჩარჩოებისგან. პიროვნების ქცევას მეტწილად განსაზღვრავს მისი შინაგანი სამყარო, განწყობა და დამოკიდებულებები, აქედან გამომდინარე, ადამიანები მეტად კონცენტრირდებიან საკუთარ „მეზე“, წინ მოდის პიროვნული საწყისები და ამასთანავე გრძნობებისა და განცდების გამომჟღავნების თავისუფლება.

როგორც აღნიშნავენ, ვასილ ბარნოვისათვის „ტრფობა წამებულის“ დაწერა ერთგვარი გამოწვევა იყო, რადგან ეს ნაწარმოები ეხმნიანება გიორგი მერჩულეს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებას.“ ჰაგიოგრაფიული ძეგლის ტრანსფორმირებული სახე აქვს როგორც ჟანრული, ასევე იდეოლოგიური თვალსაზრისით. გიორგი მერჩულემ „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ წმინდა მამის ღვაწლის ასახვის მიზნით შექმნა, რაც მისი მოღვაწეობის პერიოდს ძალიან კარგად ერგებოდა სოციო-პოლიტიკური კუთხით, ხოლო ბარნოვის მიზანს ათი საუკუნის შემდეგ სულ სხვა რამ წარმოადგენდა-პირველ რიგში ეს იყო ღირებულებათა გადაფასების ასახვა. *„გრიგოლ ხანძთელი სრულიად სხვა იყო, სხვა ხმისა და სხვა ჯავრისა, ბევრად შორეული, მაგრამ ბევრად სახელგანთქმული საეკლესიო მოღვაწე, წმინდა, სულიერი მამა, გმირი ღონიერი მწერლისა, მერჩულეს გმირი, დიდებული ხელოვანის ნაქანდაკევი, ეგრე იოლად არ დანებდებოდა და არც დანებდა[ჩხეიძე;1976:196].*

ოთარ ჩხეიძე ვასილ ბარნოვის ამ რომანის დაწერის გადაწყვეტილებას „ჭიდილს“ უწოდებს, რომელშიც *„უნდა შობილიყო არსება სრული, სრულყოფილი ადამიანი, იდეალური გმირი, თვალსაჩინო და სანიმუშო.“ [ჩხეიძე;1976:196].* ვასილ ბარნოვისა და გიორგი მერჩულეს შეპირისპირების განხილვა ჩვენს მიზანს არ წარმოადგენს, ამის საშუალებით მხოლოდ ბარნოვის მიზნის გამოკვეთას ვცდილობთ. *„თვითონვე ცხოვრობდა მძლავრი მობრუნების ეპოქაში და ისტორიაშიც შესაბამისს დაეძებდა“[ჩხეიძე;1976:196].* ბარნოვმა ქართულ ლიტერატურულ სივრცეში ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი Xსაუკუნის ტექსტის პერსონაჟებისთვის თავისი ეპოქის შესაბამისი იერსახის მორგება გადაწვიტა.

ვასილ ბარნოვი წერილში :“ფსევდოკლასიციზმი საზოგადოდ და ქართულ ლიტერატურაში კერძოდ“ საუბრობს ქრისტინიანული რელიგიის გავლენებზე, ის აღნიშნავს, რომ ამ რელიგიამ სისტემის სახე მიიღო, *„სამღვდელოებამ, ხალხის მთლიანობიდან უკვე განყოფილმა წოდებამ, განსაზღვრულმა, ხელთ იპყრო უფლება შუამდგომლობისა ღვთისა და კაცთა შორის, მხოლოდ თავის თავი აღიარა მცოდნედ ღვთის განგებისა, აუკრძალა ხალხს მსჯელობა თავისუფალი...“[ბარნოვი;1964:88-89].* „მაშინდელ ლიტერატურაში ასახულია ამგვარი დამონავებული ყოფა ადამიანის სულისა, მისი ყოველგვარი განცდისა“-ამბობს ვასილ ბარნოვი. მწერლის თქმის, ხანლხი ნელ-ნელა გამოერკვა ამ ბურუსიდან, დაიწყო ფიქრი. *„დიდხანს მძვინვარებდა ეს თეოკრატიული სისტემა, ბევრხანს იყო მისგან შებოჭილი აზრთა, გრძნობათა თუ მისწრაფებათა სამფლობელო, მაგრამ თანდათან მოიწიფა ხალხი, განვითარდა, შესძლო საკუთარი ფიქრო თუ დაკვირვება. სათანადოდ შეაფასა აუცილებლად აღიარებული დებულებები. აწ გონება ბრმად აღარ ემორჩილებოდა ეკლესიის მცნებებს, ცდილობდა დაემუშავებინა საკუთარი შეხედულება...“[ბარნოვი;1964:88-89].* ასეთი დამოკიდებულება ჰქონდა ვასილ

ბარნოვს, როცა „ტრფობა წამებულით“ დაუპირისპირდა შუა საუკუნეების შეხედულებათა სისტემას.

4.2 ქალის როლის გააქტიურება ვასილ ბარნოვის შემოქმედებაში

აღნიშნულ წერილში ავტორი ჩვენთვის საგულისხმო წინადადებას *ამბობს: „და ქალიც დაისახა არა მხოლოდ მაცდუნებლად თუ წარსაწყმედლად მოვლენილი არსება ეშმაკეული, არამედ განხორციელებად გარდუვალი სილამაზისა“ [ბარნოვი;1964:89].* როცა ბარნოვი ამ წერილს წერს, უკვე დაწერილი აქვს ”ტრფობა წამებული“, ავტორმა ნაწარმოებით შეეცადა დაემსხვრია „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ ასახული, დოგმატური ქრისტიანობის პერიოდში შექმნილი შეხედულება ქალის შესახებ, კონკრეტულად კი სიძვის დიაცის. ციტირებულ წინადადებაში კარგად ჩანს რა როლი შეიძლებოდა ჰქონოდა ქალს ამ დამოკიდებულების პირობებში, როცა ის მხოლოდ საცდურად მოიაზრებოდა. „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ განხილვისას აღვნიშნეთ, რომ სიძვის დიაცი (და ბარნოვს თუ დავიმოწმებთ, ზოგადად ქალი) ერთგვარი იარაღი იყო ეშმაკისთვის, ვნების აღმძვრელი, სურვილის წარმომშობი, სულის საფრთხე, რა განვითარება შეიძლება ჰქონოდა მას ასეთ ვითარებაში?!

ზემოთ მოხმობილი ციტატის მეორე ნაწილი, რომელიც აგრეთვე ქალს მიემართება, *„განხორციელებად გარდუვალი სილამაზისა“[ბარნოვი;1964:89],* შეიძლება მივიჩნიოთ ბარნოვის მსოფლმხედველობის განმსაზღვრელ ერთ-ერთ მთავარ ღეძად. ამის გასაანალიზებლად საჭიროა ვიმსჯელოთ, თუ რას გულისხმობს ის სილამაზეში. ბარნოვისეული სილამაზე პირდაპირ დაკავშირებულია მის სიყვარულის კონცეფციასთან. *“სიყვარული და მშვენიერება ბარნოვთან ერთმანეთს უკავშირდება არა მიზეზ-შედეგობრივად, არამედ როგორც ერთი საწყისის ორი გამოვლინება“[ცისკაძე;1972:135-136].* ვასილ ბარნოვთან სიყვარული არის ის ძალა,

რომელიც „სიკეთისა და ბოროტების ბრძოლას“ აღუდგება წინ. *„ამ ტენდენციის გახსნას, ძირითადად ემსახურება ორი მოვლენა, ორი უდიდესი ადამიანური სიკეთე-სიყვარული ვიწრო გაგებით, ე.ი. სიყვარული ქალ-ვაჟს შორის და სიყვარულო ფართო გაგებით-სამშობლოს სიყვარული, ორივე შემთხვევაში, სიყვარული, როგორც სიკეთე, როგორც ღვთაებრივი ძალა, წინ აღუდგება ყოველივე ბოროტს.[ცისკაძე;1972,:233-234].“* სიყვარული ამ ავტორთან მისტიკური ხასიათის მატარებელია და ღვთაებრივი საწყისის რეალიზებად გვევლინება. სწორედ ამიტომ ბარნოვი არათუ წინ აღუდგება აშოტისა და შუქიას სიყვარულს, არამედ პირიქით კურთხეულად მიიჩნევს მას.

ქალისა და მამაკაცის სიყვარულის ამგვარი გააზრება ცვლის იმ შეხედულებას, რაც მეათე საუკუნის ტექსტში გვხვდება, აქედან გამომდინარე, იცვლება ქალის მიმართ დამოკიდებულებაც. ბარნოვის „ტრფობა წამებულში“ შუქია აღარაა ის პერსონაჟი, რომელსაც გიორგი მერჩულემ „სიძვის დიაცი“ უწოდა.

ბარნოვის რომანში „ტრფობა წამებული“ ქალს უბრუნდება სახელი და ხმა, შესაბამისად ფუნქცია და უნარები. რა თქმა უნდა, ბარნოვის მიერ მანამდე ხმადაკარგული ქალის გააქტიურების, მისი ამ კუთხით ასახვის მცდელობა შემთხვევითი არ ყოფილა.

როგორ ჩანს, ვასილ ბარნოვი დაინტერესებული იყო ქალთა ცხოვრებით, მის პირად მიმოწერაში ვხვდებით წერილს, რომლის ადრესატიც ანასტასია ერისთავი-ხოშტარიაა. ეს ადამიანი იბრძოდა ქალთა უფლებებისთვის, ის იყო პირველი ქალი მწერალი, რომელმაც ყურადღება გაამახვილა ქალთა პრობლემებზე. ჩანს, რომ ვასილ ბარნოვი იზიარებდა მის შეხედულებებს და საკუთარი შემოქმედებით ცდილობდა მხარი აება ამ მოძრაობისთვის. მის წერილში ხაზგასმულია, თუ რამდენად მნიშვნელოვნად მიაჩნია ქალის პოზიცია, ერის სამსახურისთვის, აღნიშნავს, რომ ანასტასიას შრომა დაუფასებელია *„ჩადგა ქალი მოწინავე მებრძოლთ გუნდებში, ამორძალი მახვილმოწვსილი...“[ბარნოვი;1964:94].*

ბარნოვი „ტრფობა წამებულშიც“ უსვამს ხაზს, იმას, თუ რამხელა მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს ქალის მოქმედებას. ამ მიმართულებით ორ დაპირისპირებულ სახეს ვხდევათ, გურანდუხტი და შუქია. პირველის პოზიცია, მიუხედავად იმისა, რომ ქვეყნის კეთილდღეობის მისწრაფებას ავლენს, არ ამჟღავნებს მეფის პიროვნების მიმართ თანაგანცდას, ის უფრო მეტად მორგებულია დედოფლური პატივმოყვარეობის გრძნობაზე, შუქიას პოზიცია, კი იმ მაღალი სიყვარულის კონცეფციაზეა დაფუძნებული, რომელიც უანგარო და უპირობო განცდას გულისხმობს. შუქიასთვის აშოტი „თეთრი რაინდია“, მას ხიბლავს მამაკაცი, რომელიც თავგანწირვით იბრძვის სამშობლოსთვის. გურანდუხტისგან განსხვავებით, ის გამარჯვებაში არ ხედავს აშოტის სიძლიერეს, მისთვის ძალა იმ სიყვარულში გამოიხატება, რაც მეფეს ამოძრავებს. აშოტსაც სწორედ ეს ხიბლავს ამ ქალში, გულწრფელი თანადგომა.

აშოტისა და შუქიას სიყვარულის თემის სიღმისეული განხილვა სცდება ჩვენს მიზანს, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ამ ეპოქაში, მეათე საუკუნისგან განსხვავებით, სრულიად შეცვლილ დამოკიდებულებას ვხედავთ. რომანი ისტორიულია და ცხადია, მოქმედება ისევ VIII-IX საუკუნეებში ვითარდება, სიუჟეტი იგივეა, მთავარ გამოწვევად ავტორისთვის საეკლესიო და საერო ცხოვრების დაპირისპირების ასახვა წარმოადგენს, თუმცა, ორი სრულიად განსხვავებული პერსპექტივიდან აღვიქვამთ სიტუაციას, თუ გიორგი მერჩულეს პოზიცია, სოციო-კულტურული და პოლიტიკური ვითარების გათვალისწინებით ემხრობა ეკლესიის პოზიციას, ვასილ ბარნოვის შემთხვევაში პირიქითაა, ის აშკარად უპირისპირდება მას. სწორედ ამ დაპირისპირების ნიადაგზე იკვეთება ის განსხვავებები, რაც ქალის მნიშვნელობის გააზრებაში გვხვდება.

4.3 ქალი პერსონაჟის ხასიათის სახის გამოკვეთა

პირველ რიგში უნდა ვისაუბროთ იმაზე, თუ როგორ განვითარდა ქალი პერსონაჟის ხასიათი, გამოხატულების თვალსაზრისით, მეათე საუკუნის შემდეგ და აღვნიშნოთ, რა ვითარება გვაქვს მეოცე საუკუნეში. უკვე ითქვა იმ ფაქტის შესახებ, რომ ამ პერიოდში დაწყებულია ქალის ცხოვრების პობლემატურ საკითხებზე აქცენტირება, ანასტასია ერისთავი-ხოშტარიას პოზიციას თავისი შემოქმედებით შეუერთდა ვასილ ბარნოვი. ჩვენი აზრით, მან ქალის როლის გააქტიურება მიზანმიმართულად ასახა „ტრფობა წამებულში," აქედან გამომდინარე, გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ ქალი, როგორც პერსონაჟი ბარნოვის ნაწარმოებებში სრულყოფილი სახით რეალიზდება. მისი ხასიათი შემდგარია ყოველგავრი ასპერქტის გათვალისწინებით, შუქიას პერსონაჟი *„იხსნება არა აღწერაში, არამედ მოქმედებაში"[ა.ჭილაია, რ.ჭილაია;1984:240],* აქვს ინდივიდუალური მახასიათებლები, თვალნათელია მისი სულიერი სამყარო, განცდები და ეს ყოველივე მჟღავნდება ადამიანებთან ურთიერთობაში. ის აქტიურია საზოგადოებრივი ცხოვრებასთან მიმართებაში და მკითხველის თვალში მკაფიო სახეს ქმნის. ნათელია ზეაღსვა პერსონაჟის ხასიათის განვითარების მიმართლებით, თუ მეათე საუკუნის ტექსტში საერო ქალი უპოზიციოა და თითქმის არ გააჩნია „ხმა", ბარნოვთან ის ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟს სახეს იღებს.

აღსანიშნავია ისიც, რომ ვასილ ბარნოვი გიორგი მერჩულეს მიერ უსახელოდ დატოვებულს ქალს, სახელს არქმევს. ეს სახელი სიმბოლური დატვირთვის მატარებელია და მიემართება ბარნოვის მსოფლმხედველობისა და შეხედულებების ახსნას. როგორც ვთქვით, ვასილ ბარნოვის შემოქმედება სიკეთისა და ბოროტების დაპირისპირებას ასახავს და ბოროტების წინააღმდეგ მთავარი იარაღი მშვენიერებით განსხივოსნებული სიყვარულია. თუ ქალი „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში' ეშმაკის იარაღად მიიჩნევა, ბარნოვთან ის ღვთაებრივის სიყვარულის გამტარი სუბიექტია, სწორედ ამიტომ მიგვაჩნია, რომ სახელი-შუქია არ არის შემთხვევითი. როგორც აღნიშნავენ, ბარნოვი საკუთარი შეხედულებებისა და მსოფლმხედველობის

გადმოსაცემად ხშირად მიმართავს მითოსურ სახეებს. *„ვასილ ბარნოვის შემოქმედების მითოსური პლანის მსოფლმხედველობრივი საფუძველი ის უძველესი წარმართული სარწმუნოებაა, რომელსაც „ნათელთა თაყვანისცემას“ უწოდებს.“[გომართელი;1997: 88-89].* შუქია სინათლის სხივია, იმ ღვთაებრივი სიყვარულის მომფენია, რომელმაც აშოტს თავი ბედნიერ ადამიანად აგრძნობინა. *““შუქურის თვალთაგან მსალბუნებელი სითბოთა სხივი გამოკრთებოდა და სათნოების ნაზ ნათელში ჰხვევდა ვაჟკაცის ყოფას, დამჩუყებულ სიამეს განახდევინებდა.“[ბარნოვი;2011:134]. „მოსურვილდებოდა მზის შვილის ნახვა შუქურისა, ისე მოსწყურდებოდა, ვით უდაბნოში მოგზაურს წყალი. ვერ ენახნა იგი პირიმზე...“[ბარნოვი;201:137].* ბარნოვის მსოფლმხედველობის გააზრებით, სიყვარულის, სილამაზისა და სინათლის დაკავშირების გზით, გასაგები ხდება, თუ რამხელა მნიშვნელობის მატარებელია ქალი ვასილ ბარნოვის შემოქმედებაში. აქ შეიძლება, დაპირისპირებული წყვილს სახით წარმოვადგინოთ: შუა საუკუნეების შეხედულებით, აშოტის საყვარელი ქალი ცოდვილია, ის მაცდურად მიიჩნევა, ეშმაკის მიერ მოვლენილ სულის საფრთხედ, ბარნოვისათვის პირიქით. არც ის უარყოფს, რომ ქალს განსაკუთრებული როლი აქვს ურთიერთობის ჩამოყალიბებაში, თუმცა დამოკიდებულება სრულიად საპირიპიროა, მისთვის შუქია ღვთაებივი სიყვარულის მომფენია, წყარო, რომლის საშუალებითაც მამაკაცი უკვდავებას ეზიარება, უფალს ერწყმის, რადგან უფალი თავად სიყვარულია. *„ძალიან კი დაუბავს თილისმის ძეწკვით ამ ახალ დალსა, ღმერთქალს ოქროს დალალებიანს ბუმბერაზი ჩვენი[...] სურვილით ჩაუწვენია თავის კალთაში, ჩაუკრავს უბეში; მით სანატრელი გაუხდია ჯადოსანს ტყვეობა მისთვის[ბარნოვი;1962:384].* აქ კიდევ ერთხელ ვხვდებით მითოსურ სიმბოლიკას, რომლის გამოყენებითაც, ძალიან კარგად ვლინდება როგორც სიყვარულის, ასევე ქალის ძალა და გავლენა.

ნაწარმოებზე დაყრდნობით, შგვიძლია ვიმსჯელოთ იმაზე, თუ რამდენად თამამი ხდება ქალი საკუთარი პოზიციის დაფიქსირებაში. ეს ძალიან კარგად გამოჩნდა არა იმდენად

შუქიას მაგალითზე, რამდენადაც თებრონიას, იმ მონაკვეთში, სადაც გრიგოლის მიმართ სიყვარულს ამჟღავნებს. *„ვეღარ ჰმალავდა ქალწული თვის სურვილს ჭაბუკის წინაშე; არცა ჰფარავდა“[ბარნოვი;1962:254].* ქალის ძალიან საინტერესო და არაერთგვაროვან სახეს ქმნის ბარნოვი თებრონიას პერსონაჟით, შეიძლება გამოვყოთ პერსონაჟს ხასიათის ორი მიმართულება საერო და სასულიერო ცხოვრების მიხედვით. ამ შემთხვევაში, არ განვიხილავთ თებრონიას ქცევის მოტივებს და არც მისი საქციელის შეფასებას ვცდილობთ, ჩვენი მიზანი მხოლოდ იმის ჩვენებაა, თუ როგორ გამოკვეთს ვასილ ბარნოვი ქალ პერსონაჟთა სახეებს. თუ გიორგი მერჩულეს დედა ფებრონიასა და „სიძვის დიაცს“ შორის უზარმაზარი სხვაობაა მნიშვნელობის კუთხით, ბარნოვთან ადამიანები, ამ მხრივ, ერთ სიბრტყეზე გვხვდებიან. ალბათ, ესეცაა ერთ-ერთი მიზეზი იმის, თუ რატომ გვიჩვენა ვასილ ბარნოვმა დედა ფებრონიას სახე საერო ცხოვრებაში, ამით ადამიანების მსგავსებას და მათ ერთნაირ მისწრაფებებს გაუსვა ხაზი, რომ აღარაფერი ვთქვათ, განუხორციელებელი სიყვარულით ტანჯული და გაბოროტებული ქალის ასახვაზე. *„დაჟინებით მისჩერებოდა თავის გულქვა სატრფოს; თუ შესძლებდა, გაანადგურებდა მასაც და მის მაკურთხებლებსაც“ [ბარნოვი;1962:272]...“და გამოვიდა იქიდან არა ხორცსხმული ადამიანი, არამედ ლითონად ქცეული კერპი სასტიკი“[ბარნოვი;1962:273].*

ვასილ ბარნოვი ტექსტის ერთ მონაკვეთში აღნიშნავს: *„უწინ რომ დედანი ჩვეულბრივ ცალკე დაიდებდნენ ნადიმს ვაჟკაცთაგან განკერძოებულნი, ეხლა თანდათან ტყდებოდა ეს ჩვეულება“[ბარნობი;1962:293].* ეს წინადადება პირდაპირ უსვამს ხაზს ქალის როლის ზრდას საზოგადოებრივ ცხოვრებაში. როგორც ითქვა, ნაწარმოები VIII-IXსაუკუნეების ვითარებას ასახავს. ქალთა და კაცთა ერთად ნადიმის ტენდენცია ჯერ კიდევ „შუშანიკის წამებაში“ გვხვდება: *„ოდეს ყოფილ არს აქამომდე თუმცა მამათა და დედათა ერთად ეჭამა პური?!“[ხუცესი;1999:35].* ვასილ ბარნოვი საჭიროდ თვლის იმის აღნიშვნას, რომ ამ მიმართულებით ტრადიცია უკვე შეცვლილია. ავტორის

შეხედულებებს თუ გავითვალისწინებთ, მისი დამოკიდებულება ამ საკითხისადმი აშკარად პოზიტიურია.

ერთ მონაკვეთში ვასილ ბარნოვი ამბობს: *"ვინა სთქვა, ევას ჩამოეცალაო ნათელი მხიარული და მის შთამოსაც განეძარცვა ღვთაებური სამოსი ტანთა, მთელ მის შთამოვმავლობას? არა! ზოგს ევათაგანს, იშვიათს მათგანს, შერჩენია იგი ციაგი ზეარსი ნათელისა, ანარეკლი მისის ბრწყინვალებისა" [ბარნოვი;1962:337].* ეს წინადადება ნამდვილად იწვევს აზრთა სხვადასხვაობას. ევა-პირველი ქალი სამყაროში, რომლის ბიბლიური სახე ყოველთვის უკავშირდება ცოდვას, ვასილ ბარნოვს განსხვავებული კუთხით ჰყავს წარმოჩენილი. მისი სახე მიემართება შუქიას პერსონაჟს და ავტორი ხაზს უსვამს ევას მნიშვნელობას არა ცოდვის კონტექსტით, არამედ ღვთიური საწყისის იდეით. ბარნოვის მიხედვით, ევას, როგორც ქალის სახეს, მიუხედავად მის მიერ ჩადენილი ცოდვისა, არ დაკარგვია ღვთიური ნათელი (ეს საკითხი სიღრმისეულ ანალიზს მოითხოვს, რაც სცდება ჩვენი თემის მიზანს, ამიტომ, ამ ეტაპზე მხოლოდ პარალელის გავლებით შემოვიფარგლებით), შუქიას პერსონაჟი გასხივოსნებულია იმ კურთხეული სიყვარულით, რომელიც ბარნოვისთვის ღვთიური საწყისის გამოვლინებაა, სწორედ ამიტომ ბარნოვისთვის შუქიასა და აშოტის სიყვარული ცოდვად არ მოიაზრება. ამას ადასტურებს აშოტის მოძღვრის მიერ წარმოთქმული სიტვები: *"ქალ-ვაჟის ურთიერთობა, შორიდან შეხედვით, მრუშობა იყო უშვერი, ხოლო ახლო დახედვით მიჯნურობა იყო ზეცით ნაკურთხი, მზიური ტრფიალი მხოლოდ უდროვოდ და უადგილოდ აღმოცენებული."[ბარნოვი;1962:338].*

საგულისხმოა, რომ ვასილ ბარნოვის"ტრფობა წამებულში" მამა გრიგოლისა და შუქიას საუბარი ზუსტად იგივე შინაარსის შემცველია, რაც გიორგი მერჩულეს ტექსტში, შეიძლება ითქვას, სიტყვასიტყვით მიჰყვება მას, აქაც ისევე გამოთქვამს შუქია მამა გრიგოლის მორჩილებას, როგორც მეათე საუკუნის ტექსტში და აშოტის „გარდარეული სიყვარული" მოჰყავს მისი ქცევის მიზეზად. მიუხედავად ამისა, ბარნოვის ნაწარმოებში

ეს სიტყვები არა უპოზიციობის, არამედ პირიქით, მყარი პოზიციის გამომხატველია. არც კითხვის ნიშანი გვიჩნდება იმის შესახებ, ქალი სიმართლეს ამბობს თუ ტყუის, ყოველივე ნათელია. შუქიას მუდამ თან სდევს იმის განცდა, რომ მათი სიყვარული აშოტისთვის, როგორც მეფისთვის, საფრთხის შემცველი იყო. მისი მორჩილებია, შეიძლება ითქვას მსხვერპლია, რომელსაც საყვარელის ადამიანისთვის იღებს. *„მივდივარ ჩემო ყველავ და გევედრები ფრთხილად იყავი, არავის დაენდო, ბევრი მტერი გვახვევია გარს, ავის მსურველი...“[ბარნოვი;1962:363].* ეს შუქიას გადაწყვეტილებაა, თავგანწირვა, რომელიც არ გულისხმობს სისუსტეს და არც იმგვარ უპირობო მორჩილებას, როგორც ეს „სიძვის დიაცის“ შემთხვევაში მოხდა.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ამ ნაწარმოებში შუქია მაინც ცდილობს გარკვეული წინააღმდეგობის გაწევას *„ყელი მოიღერა შუქურმა, უკვლო სვლას, შეარყია ნაბიჯის სიმტკიცე[...] სჯობდა, მამაო წმონდაო, მოგვეცადა, მოსულიყო მეფე“ [ბარნოვი;1962:364].* ცხადია, მან კარგად იცის, რომ წინააღმდეგობის გაწევას აზრი არ აქვს, მაგრამ ქალის ხასიათი იმდენად მტკიცეა, სიყვარული იმდენად ძლიერი, რომ მისი შინაგანი ხმა ნებას არ აძლევს უბრძოლველად მიიღოს გადაწყვეტილება, თუ შეიძლება ჰქონდეს რაიმე შანსი ამ სიყვარულს, ცდილობს ის გამოიყენოს.

ნაწარმოებს ტრაგიკული ფინალი აქვს, იღუპება ორივე-შუქია და აშოტი, თუმცა დაპირისპირებაში გამარჯვებული მაინც არ არსებობს. ამ რომანში არაერთი მნიშვნელოვანი ხაზია, რომლის ანალიზსაც გვერდს ვუვლით, რადგან არ მიემართება ჩვენი თემის მიზანს, ჩვენ არ წარმოვაჩენთ პერსონაჟების ხასიათის თავისებურებებს, არ განვიხილავთ მათი ქცევის მორალურ მხარეს, მათ შორის არც შუქიასა და აშოტის, მხოლოდ იმის დადასტურებას ვეცადეთ, რომ ქალის ფუნქცია და მნიშვნელობა მეათე საუკუნესთან შედარებით გაზრდილია. ამ პერიოდში საზოგადოებრივი აზროვნება, წინა პერიოდთან შედარებით, ნაკლებადაა გამყარებული სტერეოტიპებით, მეოცე საუკუნეში დაწერილ VIII-IX საუკუნის ამბავში უკვე არაერთი სასულიერო თუ საერო პირი

ფიგურირებს, რომელიც აშოტისა და ქალის სიყვარულს სიძვად აღარ მოიხსენიებს და შუქიას „სიძვის დიაცის“ იარლიყს აღარ აკრავს. ვასილ ბარნოვმა შეძლო ღირებულებათა გადაფასება, მან სიყვარულის კონცეფციაზე დაფუძნებული ღირებულებებით სრულიად შეცვალა დამოკიდებულება შუქიას პერსონაჟს მიმართ. ცაკლე საკითხია ის, რომ ყველა არ იზიარებს ბარნოვის შეხედულებას. როგორც არაერთხელ ითქვა, გიორგი მერჩულეს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ ძალიან გავლენიანი ლიტერატურული ტექსტია და სწორედ ამ გავლენით ქალს, რომელიც მეფე აშოტ კურაპალატს უყვარდა დღესაც „სიძვის დიაცის“ სახელით მოვიხსენიებთ.

5. ღირებულებათა სისტემის მსხვრევა „ტრფობა წამებულთას“ მიხედვით

5.1 პოსტმოდერნული ტენდენციები

საინტერესოა, როგორ შეიცვალა ამ მიმართულებით შეხედულებები უკვე პოსტმოდერნიზმის ეპოქაში, საილუსტრაციოდ განვიხილავთ დათო ბარბაქაძის 1993

წელს დაწერილ ნაწარმოებს „ტრფობა წამებულთა," რომლითაც ავტორმა სრულიად დაარღვია მანამდე არსებული ლიტერატურული ტრადიციები. ეს ტექსტი დღევანდელობისთვისაც კი სკანდალური სტილით გამოირჩევა. პირდაპირ მიმართულია სტერეოტიპების მსხვრევისკენ და ირონიული დამოკიდებულებით ძალიან კარგად წარმოაჩენს ამ მსხვრევის აუცილებლობას.

„ტრფობა წამებულთა" პოსტმოდერნული ტექსტია, ეს მიმდინარეობა მოდერნიზმის ერთგვარ გაგრძელებას წარმოადგენს, თუმცა არ გულისხმობს მისი პრინციპების უპირობო მიღებას, აქ იგულისხმება მიმართება, რომელიც ყოველთვის არსებობს ამ ორ მიმდინარეობას შორის. *„პოსტმოდერნიზმს მოდერნისტული ეპოქისაგან დარჩა ყველაზე მძიმე მემკვიდრეობა-კრიზისულობა. მოდერნიზმის ხანაში გამოკვეთილი და, შესაძლოა, გამძაფრებული სულიერი თუ გამომსახველობითი კრიზი პოსტმოდერნულ პერიოდში არ დაძლეულა" [წიფურია;2008:168].* განსხვავებით მოდერნიზმისგან, პოსტმოდერნიზმის ეპოქაში გამუდმებული ძიების პროცესი დასრულებულია, რადგან ჭეშმარიტება არარსებულადაა მიჩნეული, ხელოვნება ხდება ყოფიერების ნაწილი, ყოველივე კი მოიაზრება სიმულაკრად, როგორც ასლი ორიგინალის გარეშე.

ცხადია, პოსტმოდერნიზმში ღმერთი არ არსებობს, *„ღვთის, როგორც სამყაროს მაორგანიზებელი ძალის რწმენა პოსტმოდერნულ მსოფლხედვაში არ აღმდგარა. ამიტომ უშუალოდ პოსტმოდერნისტულ ესთეტიკაში გარესამყარო კვლავ ისახება შინაგან წესრიგს მოკლებულ რეალობად, რომლის ქაოტურობაც პიროვნების აღქმითი პროცესის ალოგიკურობასა და გამომსახველობით ფორმათა ქაოტურობაში შეიძლება გამოიხატოს"[წიფურია;2008:170].*

პოსტმოდერნისტული მწერლობის ერთ-ერთ ტიპოლოგიურ ნიშნად მიიჩნევენ მსოფლმხედველობრივ-შემეცნებითი პრობლემისადმი მიმართებას, რაც ძალიან კარგად ჩანს დათო ბარბაქაძის ნაწარმოებში. ტექსტი, შეიძლება ითქვას, პროტესტია, რომელიც ასევე პროტესტის გრძნობის აღძვრით აღწევს თავის მიზანს. მიზანს კი

წარმოადგენს ამ პროტესტის მიმართულების განსაზღვრა. *„დათო ბარბაქაძემ „ტრფობა წამებულთაში“ ეპატაჟის ფორმებით პროტესტი გამოხატა იმ საზოგადოების მიმართ, რომელიც „პატრიოტობის“ ნიღბით იმავე ფასეულობებს ებრძვის საქმით, რომლებზეც მაღალფარდვნად მჭევრმეტყველებს.“ [ლომიძე;2001:97]* პროტესტის მიმართულება ნათელია, ის ემსახურება ცრუფასეულობების გამოაშკარავებას და ახალი ეპოქისთვის ნიშანდობლივი პოსტულატების წამოწევას.

დათო ბარბაქაძე იყენებს პოსტმოდერნიზმისათვის დამახასიათებელ ლიტერარტურულ ხერხებს, რაც გულისხმობს მანამდე არსებული ლიტერატურული კანონების აღდგენას. ავტორი ძველ ქართულ მწერლობას მიმართავს, როგორც სიუჟეტურ, ასევე ენობრივ წყაროდ, აცოცხლებს არქაულ ფორმებს და ახდენს მის პაროდირებას. *“პოსტმოდერნული ხელოვნება ყველა ფორმასა და იდეას იღებს, მაგრამ ისე, რომ არაფრის აღარ სჯერა“[წიფურია;2008:172].* ბარბაქაძე იყებებს „ქართლის ცხოვრებასა“ და რამდენიმე ქართულ ჰაგიოგრაფიულ ტექსტს, ხოლო მისი *„სიუჟეტური და ენობრივ-არქიტექტონიკური საფუძველი სახარებაა.“ [ნ.ტრაპაიძე;2011:304].*

5.2 პიროვნების სულიერი კრიზისის პოსტმოდერნული გამოხატულება

ტექსტი მრავალშრიანია და მის გასააანალიზებლად მხოლოდ ერთი მიმართულებით ვერ ვიმსჯელებთ, თუმცა ამ შემთხვევაში ვეცდებით გამოვყოთ ის ხაზი, რომლის მიხედვითაც წარმოვაჩენთ იმ ღირებულებათა მსხვრევის ნიმუშს, რაც ავსახეთ წინა ორი ნაწარმოების მაგალითზე.

ამისათვის, პირველ რიგში უნდა ვისაუბროთ ადამიანების სულიერ მდგომარეობაზე. *„„ტრფობა წამებულთა“ ადამიანური ყოფიერების სრულ აბსურდულობასა და დაცემულობას, ტრაგედიის ვერგანცდას, მისგან უგონო გაქცევის დრამას წარმოადგენს ტრაგედიად“[ტრაპაიძე;2011:08].* ადამიანები მსხვერლად იქცევიან და მათ ამ მდგომარეობას განაპირობებს არა ვინმეს ან რამის მიმართ თავგანწირვა, როგორც ეს ჰაგიოგრაფიულ ტექსტებშია, არამედ საკუთარი გაუცნობიერებელი შიში. ექსისტენციალურ კრიზისის მიზეზი იმ საკრალური ჭეშმარიტების დაკარგვაა, რომელიც ამდენი საუკუნის განმავლობაში წვრთნიდა ადამიანის სულიერ გამძლეობას. სიკეთისა და ბოროტების დაპირისპირება, ცნობიერების დონეზე, კარგავს ღირებულებას. როგორი შეიძლება იყოს ადამიანის სულიერი მდგომარეობა, როცა მას აღარ სწამს სამყაროში დაპირისპირებულ ძალთა არსებობის?! ამ პირობებში ცხოვრება მექანიკური და რუტინული ხდება, რაც ძალიან კარგად ასახა დათო ბარბაქაძემ „ტრფობა წამებულში.“პოსტმოდერნიზმისათის დამახასიათებელი ერთ-ერთი მთავარი ნიშანი-კომერციულობა, მომხმარელური დამოკიდებულება, „ტრფობა წამებულთას“ ერთ-ერთ მახასიათებლად იქცა, ადამიანის სულიერ ფასეულობებსა და ესთეტიკურ ფუნქციას სწორედ ამგვარი ურთიერთდამოკიდებულება ჩაენაცვლა, ამიტომ ნაწარმოებში ადამიანები აღარაფერს განიცდიან, მხოლოდ ფიზიკურად მოქმედებენ ერთმანეთზე. ფასი ეკარგება ყოველგვარ გრძნობებსა და განცდებს. მათთვის მნიშვნელობა აღარ აქვს სიღრმისეული სულიერი რეალობის წვდომას მათი *[...] “საქმიანობა მიმართულია ხილული ზედაპირის, ორგანიზებული მატერიალური რეალობისადმი“ [წიფურია;2008:173].*

„„ტრფობა წამებულთა“ არის ტექსტი ადამიანურ ვერაგობათა ისტორიული და ექსისტენციალური სინამდვილის შესახებ-ტექსტი არარსებული, გამქრალი სიყვარულისა და არსებული, ნამდვილი ვერაგობის შესახებ“[ტრაპაიძე;2011:305]. ეს ტექსტი თავდაყირა აყენებს იმ ღირებულებებს, რომლებზეც ვისაუბრეთ წინა

ნაწარმოებების ანალიზისას. ბუნებრივად ჩნდება კითხვები, რა აზრი ჰქონდა ადამიანთა ქმედებას, აშოტისა და „სიძვის დიაცის“ სიყვარულს, გრიგოლ ხანძთელის ღვაწლს, ან თუნდაც ავტორთა მისწრაფებებს, თუ ყოველივე აქამდე უნდა მოსულიყო?! ცხადია, ამ კითხვებზე პასუხს დათო ბარბაქაძის პოსტმოდერნისტულ, ანტინარატიულ ტექსტში არ ვეძებთ, რადგან, როგორც ავტორი ამბობს: *„ჩემი ტექსტი იყო არა იმდენად პასუხი, რამდენადაც-შეკითხვა, უკეთ, გარკვეული მხატვრული ფორმით ჩამოყალიბებული შეკითხვა“[ტრაპაიძე;2011:311].*

დათო ბარბაქაძემ ნაწარმოების გამომსახველობითი ფორმით თანამედროვე ადამიანის დრამატიზმს ისტორიული შინაარსი მიანიჭა, გარდა ამისა, ძველი ქართული ტექსტების გამოყენებით, მანამდე არსებული რელიგიური ტრადიციების გაუფასურებასაც გაუსვა ხაზი. რა თქმა უნდა, აქ უკვე *„სრულიად უადგილო და ზედმეტია მორალურ-ენობრივი ფილტრი, რომელიც თანამედროვე ადამიანისთვის სინამდვილესთან ურთიერთობაში მექანიკურ ბარიერად გადაიქცა“ [ტრაპაიძე;2011:304].* ეს ციტატა ავტორის გამომსახველობით ფორმებსა და ლექსიკას მიემართება, მაგრამ სწორედ ამის საშუალებით შეგვიძლია ვიმსჯელოთ იმაზე, რომ ეპოქაში, რომელსაც დათო ბარბაქაძე აღწერს, მორალის ცნება და ზნეობრივი ისევეა გადაფასებული, როგორც ადამიანის არსი და სამყაროსთან მიმართება.

5.3 „ტრფობა წამებულთას“ მიმართება „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებასა“ და „ტრფობა წამებულთან“-ქალი პერსონაჟის დეკონსტრუქცია

უნდა ვისაუბროთ ნაწარმოების სათაურთან დაკავშრებითაც, თუ რატომ უწოდებს ავტორი მოქმედ ადამიანებს წამებულებს და რაში გამოიხატება მათი ტრფობა. *„მსხვერპლთა ჰაგიოგრაფია წმინდანთა ჰაგიოგრაფიის ნაცვლად“[ტრაპაიძე;2011:307].* ცხადია, სათაური, ისევე როგორც მთელი ტექსტი ალეგორიულია, ის ცალსახად ამსხვრევს იმ ეპოქების ღირებულებათა სისტემას, რომელიც ასე მყარ სტრუქტურად გვევლინება შუა საუკუნეებში, ვგულისხმობთ ეთიკურ იდეალად ქცევის მისწრაფებას, ქრისტიანული ზნეობრივი მოდელის დაცვას და შესაბამისად ,მნიშვნელობას უკარგავს ქალის როლისა და ფუნქციის გააზრებასაც. თანამედროვე ეპოქაში არათუ შეცვლილია ღირებულებები, როგორც ეს დავინახეთ „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებისა“ და „ტრფობა წამებულის“ ურთიერთშედარების მაგალითზე, არამედ საერთოდ აღარ არსებობენ ისინი, შესაბამისად, „სიძვის დიაცის“ სახე სრულიად დაშლილია, როგორც მორალური, ასევე პერსონაჟის თვალსაზრისით. სათაურის მიმართება ვასილ ბარნოვის „ტრფობა წამებულთან,“ აგრეთვე, სრულიად აუფასურებს იმ ამაღლებული სიყვარულის განცდას, რომელის დასაცავადაც მისმა ავტორმა გიორგი მერჩულესთან „შეჭიდების“ გადაწყვეტილება მიიღო. ვასილ ბარნოვის სიყვარულის კონცეფციის საკითხის დასმა პოსტმოდერნული ეპოქისთვის სრულიად შეუსაბამოა, რადგან აქ უკვე აღარავის სწამს სიკეთისა და ბოროტების საკრალური ბრძოლის მნიშვნელობის. სიყვარულის ის ფორმა, როგორადაც ის მეოცე საუკუნის დასაწყისში გვხვდება, აღარ არსებობს და ამ გადასახედიდან, არც არასდროს არსებულა. თუ „სიძვის დიაცის“ მორალი რელიგიურმა დოგმებმა განსაზღვრა და ამის მიხედვით შეიქმნა სტერეოტიპული შხედულებები ქალზე, „ტრფობა წამებულთაში“ აღარც რელიგიური დოგმა არსებობს, არც მორალი და არც ამორალურობით განპირობებული სტერეოტიპები. შუქიას პერსონაჟს კი სრულიად გამოცლილი აქვს ღვთაებრივი საწყისი, ეს ბუნებრივია, რადგან პოსტმოდერნიზმში ღმერთი არ არსებობს და მოდერნიზმისგან განსხვავებით, ადამიანები არ განიცდიან მის არარსებოდას, არ

ცდილობენ მისი შემცვლელის ძიებას, რაიმეთი ჩანაცვლებას. რა მნიშვნელობის მატარებელი შეიძლება იყოს შუქია ღვთაებრივი არსის გარეშე, რა იქნებოდა ქალისა და აშოტის ურთიერთობა, რომ არა ის კურთხეული გრძნობა, რომელიც მათ აკავშირებთ, ამის გარეშე იქნებოდა ზუსტად ის, რაც ასახულია დათო ბარბაქაძის ნაწარმოებში.

„ტრფობა წამებულთაში“ ქალი პერსონაჟის განვითარების ფაზა დეკონსტუირებულ სახეს ავლენს. ამ ტექსტში მინიმალურ დონეზეა დაყვანილი სქესის აღქმა, მხოლოდ სახელითა და სხეულის ნაწილების საშუალებით შეიძლება იდენტიფიცირება. ცხადია, ასეთ შემთხვევაში, ქალ პერონაჟს არ აქვს ხასიათი, თუმცა, უნდა ითქვას, რომ სწორედ პერსონაჟის უხასიათობაა ერთ-ერთი განმაპირობებელი იმისა, რომ ტექსტში კარგად ჩანს ადამიანთა სულიერი მდგომარეობა.

სამივე ნაწარმოების მაგალითზე, საბოლოოდ, სახეზეა ქალი პერსონაჟის სრული დეკონსტრუქცია. მისი განვითარების საწყისი ეპატია „სიძვის დიაცის“ პერსონაჟი, რომელიც ჯერ კიდევ ვერ ავლდენს სრულად ჩამოყალიბებულ სახეს, მას არ აქვს ხმა, არ აქვს სახელი და ტექსტში იმდენად უუფლებოდ წარმოგვიდგება, იმდენად მცირეა მისი მოქმედება, რომ ხასიათის განსაზღვრა თითქმის შეუძლებელი ხდება. ვხედავთ როგორ გარდაიქმნება „სიძვის დიაცი“ ვასილ ბარნოვის პერსონაჟად-შუქიად, რომელიც უკვე გამოკვეთილი ხასიათის მატარებელი გმირია. „ტრფობა წამებულთა“ კი საერთოდ უკარგავს მნიშვნელობას ქალს, როგორც პერსონაჟს, მასთან სქესის აღქმა მინიმალურ დონეზეა დაყვანილი.

დასკვნა

განვიხილეთ სამი ნაწარმოები მათი ეპოქის შესაბამისი აზროვნების სისტემის გათვალისწინებით: გიორგი მერჩულეს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ ერთი ეპიზოდი (Xსაუკუნე), ვასილ ბარნოვის „ტრფობა წამებული“ (XXსაუკუნის დასაწყისი), დათო ბარბაქაძის „ტრფობა წამებულთა“(XXსაუკუნის ბოლო). აღნიშნული ტექსტები შევარჩიეთ თემის მიზნიდან გამომდინარე, რათა განგვესაზღვრა ქალის როლის მნიშვნელობა სხვადასხვა ეპოქის საზოგადოებრივ ცხოვრებაში, წარმოგვეჩინა ქალი პერსონაჟის ასახვის განვითარების საფეხურები ეტაპობრივად, ქრონოლოგიური თანმიმდევრობით და ამის საშუალებით აღგვექვა საერთო სურათი. ამან მოგვცა საშუალება გვესაუბრა ქალის თავგადასავალზე შუა საუკუნეებიდან დღემდე (ცხადია, თემის დასათაურებაში პერიოდის განსაზღვრა პირობითია და არ მოიცავს სრულ სურათს მეათე საუკუნიდან დღემდე). სამივე ნაწარმოები ერთმანეთთან დაკავშირებულია სხვადასხვა ასპექტით. „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ ჩვენ მიერ განხილულ ეპიზოდში იგივე სიუჟეტია გადმოცემული, რაც ვასილ ბარნოვის „ტრფობა წამებულში,“ ამან, ცხადია, ხელი შეუწყო პარალელების გავლებას, მსგავსებისა და განსხვავების სიცხადეს.

ჩვენი მსჯელობიდან გამომდინარე, ნათელია, რომ ადრეულ შუა საუკუნეებში ქალის მნიშვნელობა ბევრად დაკნინებული იყო, ვიდრე მეოცე საუკუნის დასაწყისში. ამის დამადასტურებელი არგუმენტები მოხმობილია ორივე ტექსტის ანალიზისისას. გიორგი მერჩულეს ნაწარმოებში „სიძვის დიაცის“ პერსონაჟი არ არის სრულფასოვანი სახის, მას არ გააჩნია მკვეთრად გამოგვეთილი ხასიათი და ეს, სწორედ, ეპოქის დამოკიდებულების გამომხატველად მივიჩიეთ. მას არ აქვს სახელი, თითქმის არ მეტყველებს, მხოლოდ სამი წინადადების თქმით შემოიფარგლება და მისი ისტყვები,

ისევე, როგორც მისი ქმედებები, უპირობო მორჩილების გამომხატველია. განსხვავებული ვითარება გვაქვს ვასილ ბარნოვის ნაწარმოებში, აქ პერსონაჟს აქვს იდენტიფიკაციის აღმნიშვნელი უპირველესი ნიშანი-სახელი, მისი, როგორც პერსონაჟის ხასიათი სრულად ჩამოყალიბებულია და ვლინდება მის ქმედებებში. „სიძვის დიაცისგან განსხვავებით, შუქია უპოზიციობას არ ამჟღავნებს არცერთ ვითარებაში, ის იღებს გადაწყვეტილებებს და ფაქტია, როგორც ქალი ბევრად თამამია. მიუხედავად იმისა, რომ ქრონოტოპული თვალსაზრისით, ორივე ნაწარმოებიში იდენტური ვითარებაა, სტერეოტიპული შეხედულებები ქალთან დაკავშირებით ბევრად შერბილებულია ბარნოვთან, ცხადია, ამას განაპირობებს მწერლის რეალური დრო და შესაბამისი აზროვნების სისტემა. ამის მაგალითია სწორედ ის, რომ გიორგი მერჩულე ქალს „სიძვის დიაცად“ მოიხსენიებს და აქ არ ჩნდება კითხვის ნიშანი, არის თუ არა მეფისა და ქალის ურთიერთობა ცოდვა, მიშვნელობა არ ენიჭება იმას, როგორი გრძნობა აკავშირებდა მათ. ვასილ ბარნოვთას კი ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. აქ შუქიასა და აშოტის სიყვარული კურთხეულ გრძნობადაა წარმოჩენილი, მწერლის მსოფლმხედველობის გათვალისწინებით, ეს გრძნობა ღვთიურ სიყვარულად აღიქმება, რომელიც წმინდაა და ჩამოშორებული აქვს სიძვის ცოდვის სიმძიმე. ამ მოსაზრებას არა მხოლოდ ავტორი, არამედ მისი ზოგიერთი პერსონაჟიც კი აზიარებს, რომლებიც, ნაწარმოების მიხედვით VIII-IXსაუკუნეებში ცხოვრობდნენ. ნიშანდობლივია, რომ ამ პერსონაჟთა რიცხვში სასულიერო პირებიც არიან.

განსხვავება ქალის მიმართ დამოკიდებულებებს შორის აშკარაა, ნათელია ის, თუ რამხელა გავლენას ახდენს კონტექსტი და მწერლის პოზიცია პერსონაჟის აღქმაზე. ნაწარმოებების იდენტური ადგილებიც კი განსხვავებულ წარმოდგენებს გვიყალიბებს ქალი პერსონაჟის ქცევის შეფასების დროს.

მიგვაჩნია, რომ ამ ორი ნაწარმოების შედარებითი ანალიზის მაგალითზე, ნათლად გამოიკვეთა სურათი, თუ რა გზა განვლო ქალმა, როგორც მნიშვნელობისა და რეალიზების კუთხით, ისე პერსონაჟის ხასიათის განვითარების თვალსაზრისით.

მესამე ნაწარმოები „ტრფობა წამებულთა“ გამოვიყენეთ იმის საილუსტრაციოდ, თუ როგორ დაიმსხვა ის ღირებულებები მეოცე საუკუნის ბოლოს, რომელზეც მანამდე ვსაუბრობდით. აქ სრულიად გადაფასდა ადამიანის არსის მანამდე დამკვიდრებული გააზრება. ფასი დაკარგა ყოველგვარმა სულიერმა განცდებმა. ჩამოიშალა მორალურ-ეთიკური ნორმები, დავიწყებას მიეცა ცოდვის მნიშვნელობა, რადგან არ არსებობს ღმერთი და შესაბამისად არც რელიგია.

„ტრფობა წამებულთა“ პირდაპირ მიემართება, როგორც „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებას,“ ასევე „ტრფობა წამებულს“ და ორივეს პაროდირებას ახდენს, რადგან პოსტმოდერნული მსოფლმხედველობისათვის უკვე სრულიად გაუფასურებული და მნისვნელობადაკარგულია, როგორც წმინდანთა ღვაწლი და მსხვერპლი, ასევე ღვთიური სიყვარულის გაგება.

„გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ პირველად ჩნდება სქესის განცდა, ქალის, როგორ ხორციელი არსების მაგალითზე („სიძვის დიაცი“) და ამ სახის პერსონაჟის ჩანასახი . ვასილ ბარნოვთან ხორციელი ქალი მთელი არსებითაა წარმოდგენილი (თუმცა, აქ ხორციელისა და სულიერი სინთეზი ხაზგასმულია და ამას ვხედავთ ხორციელი სიყვარულის ღვთაებრივად წარმოჩენის მაგალითზე), დათო ბარბაქაძე კი თითქმის შლის სქესის განცდას, იმით, რომ პერსონაჟებს მიზანმიმართულად არ ანიჭებს ხასითებს (ამ შემთხვევაშიც რთულია „ტრფობა წამებულთაში“ მოქმედ გმირებს უწოდო პერსონაჟი ტრადიციული გაგებით). ჩვენ მიერ აღწერილი, ეს პროცესი, ქალი პერსონაჟის ასახვის განვითარებია, დეკონსტრუქციის მაგალითა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ახალი აღთქმა. საქ.საპატრიარქო; სტამბა შ.პ.ს. „ფრომა“; 2016.

2. ბარნოვი.ვ. „ტრფობა წამებული“; საბჭოთა მწერალი; 1962.

3. ბარნოვი.ვ „ტრფობა წამებული“; ბაკმი; 2011.

4. ბარნოვი.ვ. თხზულებანი ათ ტომად; ლიტერატურა და ხელოვნება; ტ.X; 1964

5. ბარბაქაძე დ. „ტრფობა წამებულთა“; პოეზია; 2019.

6. გინძბურგი.კ; „ნაკვალევები, მითები, მიკროისტორია“; ილისა სახელმწიფო უნივერსიტეტი; თბილისი 2011.

7. გომართელი ა. ქართული სიმბოლისტური პროზა; თსუ 1997.

8. თევდორაძე მ. „საკუთარ თავთან, სამყაროსთან და ღმერთთან მორკინალი“ უნივერსიტეტის გამომცემლობა; თბილისი 1998.

9. კანტი.ი „წმინდა გონების კრიტიკა“ თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა; 1979.

10. კადმოსი-ჰუმანიტარულ კვლევათა ჟურნალი; ილიას სახემწოფო უნივერსიტეტი; 2011
11. კრიტერიუმი; თბილისი; 2001; N2; გვ. 97-98

12. ლიტ. მცოდნეობის ინსტიტუტის გზამკვლევი; უდაბნოთა ქალაქმყოფელი წმინდა გრიგოლ ხანძთელი; თბილისი; თსუ გამომცემლობის სტამბა; 2018.

13. ლიტერატურურის თეორია-მეოცე საუკუნის ძირითადი მეთოდოლოგიური კონცეფციები და მიმდინარეობები; ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა; თბილისი 2008.

14. ლორია კ. სტატია-„ ნეორომანტიზმი ვასილ ბარნოვის შემოქმედებაში“ ; მე-11 საერთაშორისო სიმპოზიუმის მსალები; კრებული:2017; N11; ნაწილი II.

15. მერჩულე გ. „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“; ახალი ივირონი; თბილისი; 2007.

16. მნათობი. ჭილაია ს. ვასილ ბარნოვი; (სტატია)1955.

17. მოსია ტ. ქართული ჰაგიოგრაფია და ბიბლია; ინოვაცია; 2011

18. პლატონი- „სახელმწიფო“ ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა; თბილისი 2013.

19. ფილოსოფიური ძიებანი“ წელიწდეული“; საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემია. ტ. XIV; თბილისი 2010.

20. ფსალმუნები. დავითნი; გრიფონი; 2009.

21. ჩხეიძე ო. „რომანი და ისტორია“ ვ. ბარნოვი; საბჭოთა საქართველო; თბილისი 1964.

22. ჩაკუნაშვილი.ნ „ ქალი შუა საუკუნეების დასავლურ და ქართულ ლიტერატურაში.“

23. ცისკაძე ვ. უახლესი ქართული ლიტერატურის ისტორიის საკითხები; თსუ; თბილისი 1972.

24. ცოდვათა განმარტებანი; „წმინდა მამები მრუშობისა და სიძვის შესახებ“; თბილისი 2019.

25. ძველი აღთქმა; ბიბლია; კოენელი კეკელიძის სახელობის თბილისის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი; 2017

26. ჭილაია ა. ჭილაია რ. ლიტერატურათმცოდნეობის ცნებები. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა; 1984.

27. ხუცესი ი. „შიშანიკის წამება“ განათლება 1999.

28. http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-00000-00---off-0civil2--00-1----0-10-0---0---0prompt-10---4-------0-1l--10-ka-50---20-about---00-3-1-00-0-0-01-1-0utfZz-8-00&cl=CL1.8&d=HASH017c4c29ab02a4d620c75af3.5.1&gt=1]

29. https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%A8%E1%83%A3%E1%83%90_%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A3%E1%83%99%E1%83%A3%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98

30. https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%90%E1%83%A8%E1%83%9D%E1%83%A2_I_%E1%83%93%E1%83%98%E1%83%93%E1%83%98

31. https://charlius.com/2016/12/02/god-is-dead/

Humanitarian Science of Ivane Javakhishvili National Institute of Tbilisi.

Masters Program – Study of Literature, Textology, Editorial Work.

Nino Giligashvili

Woman's adventure from middle ages until today ("Life of Grigol Khandzteli"; "Tortured Passion", "Torture of the Passioned")

The purpose of the work is to obtain master's degree in philology.

Mentor for the work: Gaga Lomidze

Doctor of Sciences in Philology; TSU associated professor.

Tbilisi

2019